171
973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

2

СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

თბილისი 1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F3809

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 4 იანვრის ერთობლივი დადგენილება

პროფკავშირული, კომკავშირული და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის სრულიად საკავშირო დათვალიერების (დევიზით—„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება“) ჩამტარებელი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომისიის ანგარიშის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს პროფკავშირული, კომკავშირული და სახალხო განათლების ორგანოების სრულიად საკავშირო დათვალიერების (რომელიც ტარდება დევიზით—„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება“) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომისიის ანგარიში (თან ერთვის).

2. სრულიად საკავშირო დათვალიერებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის დაჯილდოვდნენ:

I. საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშებით:

1. ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
2. რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
3. წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება.

კ. მარქსის სახ. საქ
სახელმწიფო რესპუ
ბიბლიოთეკა

II. საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

დ ი პ ლ ო მ ე ბ ი თ:

1. „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველო,
2. წყალტუბოს პროფესიული სახანძრო რაზმი,
3. წყალტუბოს საღამოს საშუალო სკოლა,
4. კურორტვაჭრობის წყალტუბოს განყოფილების ალკკ პირველადი ორგანიზაცია,
5. ხულოს რაიონის სოფ. ჩაის კოლმეურნეობის ალკკ პირველადი ორგანიზიცია,
6. ხულოს რაიონის სოფ. ბოძაურის კოლმეურნეობის ალკკ პირველადი ორგანიზაცია,
7. თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. ელმავალსაშენებელი ქარხანა,
8. ქ. ზესტაფონის ნ. ნიკოლაძის სახ ფეროშენადნობთა ქარხანა,
9. ქ. თბილისის კიროვის სახ. მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
10. სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
11. ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
12. ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
13. წალენჯიხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
14. ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
15. ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
16. ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
17. გეგეჭკორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,
18. ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

19. მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

20. თიანეთ ს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

21. წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

22. ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

23. ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

24. წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

25. ჩოხატაურის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

26. ქარელის რაიონის აგარის საღამოს საშუალო სკოლა,

27. ზესტაფონის დაუსწრებელი საშუალო სკოლა,

28. ქ. ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა,

29. ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა,

30. ქ. რუსთავის № 2 საღამოს საშუალო სკოლა,

31. ქ. რუსთავის № 5 საღამოს საშუალო სკოლა,

32. წითელწყაროს რუსული საღამოს საშუალო სკოლა,

33. ქ. გორის № 2 საღამოს საშუალო სკოლა,

34. ქ. ჭიათურის № 2 საღამოს საშუალო სკოლა,

35. ქ. ჭიათურის № 3 საღამოს საშუალო სკოლა,

36. ქ. ქუთაისის № 2 საღამოს საშუალო სკოლა,

37. ქ. ქუთაისის № 3 საღამოს საშუალო სკოლა,

38. ქ. ბათუმის № 1 საღამოს საშუალო სკოლა,

39. ქ. ზუგდიდის № 2 საღამოს საშუალო სკოლა,

40. აფხაზეთის საოლქო დაუსწრებელი საშ. სკოლა,

41. ქ. სოხუმის № 4 საღამოს საშუალო სკოლა,

42. აჭარის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლა,

43. ქ. თბილისის № 2 საღამოს საშუალო სკოლა,

44. ქ. თბილისის № 10 საღამოს საშუალო სკოლა,

45. ქ. თბილისის № 11 საღამოს საშუალო სკოლა,

46. ქ. თბილისის № 18 საღამოს საშუალო სკოლა,

47. ქ. თბილისის № 22 საღამოს საშუალო სკოლა,
48. ქ. თბილისის № 23 საღამოს საშუალო სკოლა,
49. ქ. თბილისის № 34 საღამოს საშუალო სკოლა,
50. ახალციხის საღამოს საშუალო სკოლა,
51. ახმეტის საღამოს საშუალო სკოლა,
52. ბოლნისის რაიონის მადნეულის საღამოს საშ სკოლა,
53. გურჯაანის საღამოს საშუალო სკოლა,
54. ყვარლის საღამოს საშუალო სკოლა,
55. ლანჩხუთის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლა
56. თერჯოლის რაიონის სოფ. ჩხარის საღამოს საშუალო სკოლა,
57. „ენგურქაღალდკომბინატი",
58. საქართველოს ალკა ქუთაისის საქალაქო კომიტეტი,
59. ქ. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა,
60. ქ. თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხანა,
61. ქ. თბილისის მიკროძრავის ქარხანა,
62. ქ. თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა,
63. ქ. თბილისის ტელეგრაფის აპარატურის ქარხანა,
64. ქ. თბილისის მაგნიტოფონების ქარხანა,
65. ქ. თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო,
66. ქ. თბილისის აბრეშუმსაქსოვი გაერთიანება,
67. ქ. თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი,
68. ქ. თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანება,
69. ქ. თბილისის 31-ე პროფტექნიკური სასწავლებელი,
70. ქ. თბილისის 27-ე პროფტექნიკური სასწავლებელი,
71. ქ. თბილისის 24-ე პროფტექნიკური სასწავლებელი,
72. ქ. თბილისის 36-ე პროფტექნიკური სასწავლებელი,
73. ქ. თბილისის 29-ე საღამოს საშუალო სკოლა,
74. ქ. თბილისის მე-19 საღამოს საშუალო სკოლა,
75. ქ. თბილისის მე-12 საღამოს საშუალო სკოლა,
76. ქ. თბილისის 27-ე საღამოს საშუალო სკოლა,
77. ქ. თბილისის მე-20 საღამოს საშუალო სკოლა,
78. ქ. თბილისის 21-ე საღამოს საშუალო სკოლა,
79. ქ. თბილისის 35-ე საღამოს საშუალო სკოლა,
80. ქ. თბილისის მე-14 საღამოს საშუალო სკოლა,
81. ქ. თბილისის მე-40 საღამოს საშუალო სკოლა,

III. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის

ს ა პ ა ტ ი ო ს ი გ ე ლ ე ბ ი თ:

1. მელაძე ივანე ილიას ძე—წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე,

2. ცხაკაია რომან ვარლამის ძე „საქგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი,

3. ნიქაბაძე კაპიტონ ტარასის ძე—წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის დირექტორი,

4. ღაჭავა რაჟდენ ვლადიმერის ძე—წყალტუბოს რაიონის მაღლაკის საშუალო სკოლის დირექტორი,

5. გურეშიძე თინა ლევანის ასული—საქართველოს ალკკ წყალტუბოს რაიკომის მდივანი,

6. ძოძუაშვილი შოთა ვლადიმერის ძე—წყალტუბოს განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი,

7. ასკურავა სულიკო დავითის ასული—წყალტუბოს საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

8. ნავროზაშვილი ზეინაბ დიმიტრის ასული—განათლების მუშაკთა პროფკავშირის კასპის რაიკომის თავმჯდომარე,

9. დალაქიშვილი გიორგი ივანეს ძე—საქართველოს ალკკ კასპის რაიკომის მეორე მდივანი,

10. უხურგუნაშვილი ლიდა ისაკის ასული—კასპის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

11. აზატოვი სედა გიორგის ასული—კასპის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

12. ზარქუა ირინე პარმენის ასული—კასპის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

13. ნიპარიშვილი ეთერ მიხეილის ასული—კასპის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

14. ფარემუზოვა ირმა ალექსანდრეს ასული—კასპის განათლების განყოფილების მეთოდისტი,

15. კვარაცხელია ალექსანდრე ილიას ძე—წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი,

16. ზარქუა მელორ კონსტანტინეს ძე—საქართველოს ალკკ წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი,

17. ხავთასი სერგო ხარიტონის ძე—ზესტაფონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი,

18. ბურჯანაძე გიორგი დავითის ძე—ზესტაფონის საღამოს მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი;

19. მაღრაძე ნინო შალვას ასული ზესტაფონის საღამოს № 1 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

20. ცეცხლაძე ზურაბ ზინალის ძე—ხულოს რაიონის სოფ. ჩაის საკოლმეურნეო ალკა პირველადი ორგანიზაციის მდივანი,

21. შავაძე გრიგოლ ეზიზის ძე—ხულოს რაიონის სოფ. ბოძაურის საკოლმეურნეო ალკა პირველადი ორგანიზაციის მდივანი,

22. შავაძე თამაზ აბდულის ძე—ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის თაგოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

23. თავართქილაძე გივი მერჯანის ძე—ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის უჩხოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

24. სოსელია არა რუბენის ასული—ქ. თბილისის 23-ე საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში,

25. ფერაძე ეთერ დავითის ასული—ქ. თბილისის 23-ე საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

26. შუბითიძე გრიგოლ ბათლომეს ძე—ქ. თბილისის მე-18 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

27. ბულინანი ალექსანდრე ივანეს ძე—თბილისის 34-ე საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

28. გაგუა აკაკი ელიზბარის ძე—ბოლნისის რაიონის მადნეულის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

29. ნაჭყებია ფილიპე ფარნაოზის ძე—მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი,

30. კირვალიძე ლერი ვლადიმერის ძე—ბოლნისის ასკ დირექტორი,

31. კობახიძე ნოდარ ლევანის ძე—ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი,

32. არჩვაძე აკაკი გრიგოლის ძე—ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი,

33. ღლონტი გივი ვიქტორის ძე — ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში,

34. ხახლიშვილი ვახტანგ გიორგის ძე — ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში,

35. გაბედავა ნიკოლოზ მელქისედექის ძე — ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მეთოდისტი,

36. ჯოჯუა ვალერიან ივანეს ძე — ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მეთოდისტი,

37. ლევინა კლარა შიკის ასული — ქ. ბათუმის რესპუბლიკური მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში,

38. მოროზოვი ტატიანა ალექსანდრეს ასული — ბათუმის რესპუბლიკური მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

39. შომინი ლიუდმილა ალექსანდრეს ასული — ბათუმის რესპუბლიკური მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

40. ევსტრატიკოვი მარიამ ნიკოლოზის ასული — ბათუმის რესპუბლიკური მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

41. აზატიანი ამალია ვართანის ასული — ბათუმის რესპუბლიკური მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

42. შვეცი მარიამ შაქროს ასული — ბათუმის რესპუბლიკური მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

43. გურგენიძე არკადი ელიოზის ძე — ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

44. ფროტაძე გურამ შალვას ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის აგარის სადგურის უფროსი,

45. მელიქოვი გურამ არტაშის ძე — „საქსოფლტექნიკის" ქარელის რაიონული განყოფილების უფროსი,

46. ყიფიანი ავთანდილ დავითის ძე — ქარელის მე-4 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში,

48. ელუტაშვილი თამაზ მიხეილის ძე—აგარის საკონსერვო ქარხნის დირექტორი,

49. მჭედლიშვილი ქეთევან ივანეს ასული—აგარის საღამოს საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი,

49. კოპალიანი შალვა ალექსანდრეს ძე—წულუკიძის № 2 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

50. ბახტაძე შოთა ერმილეს ძე—წულუკიძის მე-3 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

51 ბახტაძე კირილე სერგოს ძე—წულუკიძის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ჩაის მეურნეობის სასწავლო-საკო ს. პუნქტის გამგე.

IV. საქართველოს ა. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით:

1. ხალვაში გივი პავლეს ძე—ლანჩხუთის დაუსწრებელი საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი,

2. ჩხაიძე დავით მარკოზის ძე—ლანჩხუთის დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი,

3 ჩხაიძე ილია ივანეს ძე—ლანჩხუთის რაიონის ახალსოფლის 8-წლიანი სკოლის დირექტორი,

4. კვერენჩხილაძე სოსო გრიგოლის ძე—ლანჩხუთის რაიონის ღრმაღელის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე,

5. მექვაბიშვილი ფილიმონ ოლიფანტეს ძე—ლანჩხუთის რაიონის სუფსის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე,

6. გადახაბაძე ალექსანდრე ვასილის ძე—ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლის დირექტორი,

7. ტიკარიძე დავით სერაპიონის ძე—ლანჩხუთის რაიონის ჩოჩხათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე,

8. აფხაზავა მიხეილ კირილეს ძე—ლანჩხუთის რაიონის გელიანის რვაწლიანი სკოლის დირექტორი,

9. ქინქლაძე შოთა პლატონის ძე—ლანჩხუთის რაიონის აცანის საშუალო სკოლის დირექტორი,

10. თედორაძე დავით ვლადიმერის ძე—ლანჩხუთის რაიონის აცანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე,

11. კახიანი ოთარ იოსების ძე—სამტრედიის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი,

12. ერისთავი ვახტანგ გალაქტიონის ძე—სამტრედიის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

13. კვინიკაძე შოთა ვლადიმერის ძე—სამტრედიის რაიონის აბაშის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი,

14. დარსანია პართენ ილარიონის ძე—ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი,

15. მანია ვლადიმერ სპირიდონის ძე—განათლების მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაკომის თავმჯდომარე,

16 თოდუა მიმოზა მიხეილის ასული—საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანი,

17. ბეროშვილი კარლო ადამერის ძე—ზუგდიდის რაიონის ნარაზენის საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი,

18. თირქია შოთა ბარდღას ძე—ზუგდიდის რაიონის ჭაქვინჯის საშუალო სკოლის დირექტორი,

19. ჩიტიძე თენგიზ მუხეშერის ძე—ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ოქროაშვილების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

20. ჯორბენაძე თამაზ მამედის ძე—ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის თაგოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

21. წივწივაძე პროკოფი სპირიდონის ძე—წულუკიძის მე-3 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

22. რუხაძე ენუქი ანდრიას ძე—წულუკიძის მე-3 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

23. სალაძე სერგო ვარლამის ძე—ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე,

24. ჯოლია კონსტანტინე ამბროსის ძე—ქ. რუსთავის საღამოს მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი,

25. ბრეგვაძე შოთა გიორგის ძე—ქ. რუსთავის საღამოს მე-5 საშუალო სკოლის დირექტორი.

V. სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნებით:

1. გრიგოლაშვილი ილია ილიას ძე—წყალტუბოს საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

2. ტყავაძე ელენე ვლადიმერის ასული—საქართველოს ალკკ წყალტუბოს რაიკომის მეორე მდივანი,

3. ჯანელიძე ილია ვარდენის ძე—წყალტუბოს საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

4. პაპავა ბართლომე სერაპიონის ძე—წყალტუბოს საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში,

5. შალამბერიძე გიორგი შალკას ძე—საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგე,

6. გოგიაშვილი გიორგი მათეს ძე—კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე,

7. სირანაშვილი შალვა ივანეს ძე—კასპის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

8. მერაბიშვილი ვლადიმერ ზაქარიას ძე—კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე,

9. ჭონიაშვილი ოთარ გიორგის ძე—საქართველოს ალკკ კასპის რაიკომის პირველი მდივანი,

10. ხუსკივაძე დიმიტრი ივანეს ძე—კასპის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი,

11. მამაჯანაშვილი ზიზო არშაკის ასული—კასპის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე,

12. კვარაცხელია შალვა ძაკუს ძე—ზუგდიდის რაიონის ერგეტის საშუალო სკოლის დირექტორი,

13. ბოლქვაძე მამია ისმაილის ძე—ხულოს რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი,

14. ცეცხლაძე ლევან ლომანის ძე—ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ჩაის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

15. მებონია ალექსანდრე ბეგლარის ძე—წალენჯიხის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

16. გევორქიანი რიმა ამბარცუმის ასული—ქ. თბილისის ოფიცერთა საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

17. ჟიტელევი ევგენია გაბრიელის ასული—ქ. ქუთაისის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

18. გრიგორიევი ევგენია ლეონიდეს ასული—ცხაკაიას საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

19. მიქაძე გივი კლიმენტის ძე—საქართველოს საოკეანო თევზჭერის ფოთის სამმართველოს უფროსი,

20. კვარაცხელია შალვა სანდროს ძე—ქ. ზუგდიდის საოჯახო № 3 საშუალო სკოლის დირექტორი,

21. სულაძე ოთარ ნიკოლოზის ძე—რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი,

22. ბაქრაძე კონსტანტინე შალვას ძე—რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი,

23. გარმიზა ინა სოლომონის ასული—ქ. რუსთავის № 2 საოჯახო (ცვლის) საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში,

24. მარწყვიშვილი დარია ვასილის ასული—ქ. რუსთავის № 2 საოჯახო (ცვლის) საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში,

25. ქობალია ვახტანგ მიხეილის ძე—წულუკიძის სარაინონ დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი,

26. კირთაძე დავით ვლადიმერის ძე—წულუკიძის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

27. საბაშვილი გიორგი ანდრიას ძე—ქ. ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი	საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მ დ ი ვ ა ნ ი ჯ. პატიაშვილი	საქართველოს სსრ განათლების მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

პროფკავშირული, კომკავშირული და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის სრულიად საკავშირო დათვალიერების (დევიზი—„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება“) პირველი წლის (1972) შედეგების მიხედვით გაცემულია შემდეგი ჯილდოები:

1. გარდამავალი წითელი დროშა—3 (ჭიათურა, რუსთავი და წყალტუბო),

2. პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცკ-ისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომი—81 (ორგანიზაციებზე),

3. განათლების სამინისტროსა და პ/კ რესპუბლიკური კომიტეტის სიგელი—52 (მოწინავე მუშაკებზე),

4. საქართველოს ალკკ ცკ-ის საპატიო სიგელი—25 (მოწინავე მუშაკებზე),

5. „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი—26 (მოწინავე მუშაკებზე),

სულ დაჯილდოებულია 84 დაწესებულება და 103 მუშაკი (187 ჯილდო).

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 11 იანვრის ბრძანება № 18

ბეთანიის საბავშო სახლში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1972 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნებული სტატიის „სხვისი შვილების“ შესახებ

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1972 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნებულმა სტატიამ „სხვისი შვილები“ და შემოწმების მასალებმა ცხადყვეს, რომ ბეთანიის საბავშვო სახლის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს.

საბავშვო სახლში (დირექტორი ამხ. ბ. მეგრელიძე) დაბალ დონეზეა დაყენებული სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა, განსაკუთრებით მოიკოჭლებს საალმზრდელო მუშაობა, რის გამოც ადგილი აქვს აღსაზრდელთა საბავშვო სახლიდან გაპარვის ხშირ შემთხვევებს. შემოწმების დღეს, 278 აღსაზრდელის ნაცვლად, სახეზე იყო მხოლოდ 227, 33 აღსაზრდელის შესახებ საბავშვო სახლის დირექციას არავითარი ცნობა არ აღმოაჩნდა.

არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრა საბავშვო სახლთან არსებულმა სკოლამ მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედი. 237 მოსწავლიდან მხოლოდ 180 ასწრებდა. 46 მოსწავლეს ორსა და მეტ საგანში მიღებული აქვს არადამაკმაყოფილებელი ნიშანი, ხოლო 11 მოსწავლე საერთოდ არ შეფასდა განთესვის გამო. მთელ სკოლაში 8 ფრიადოსანია, ისიც მხოლოდ პირველ და მეორე კლასებში, აღსაზრდელების მიერ პირველი მეოთხედის მანძილზე არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1075 აკადემიური საათი.

საჭირო ყურადღება არ ექცევა საბავშვო სახლში სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენის დაცვას. აღსაზრდელთა ერთი ნაწილი დადის ჭუჭყიან ტანსაცმელში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმებშეუკრეჭავი; ანტისანიტარიაა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საძინებელ კორპუსში.

საბავშვო სახლში ჩაშლამდეა მიყვანილი აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება. შეთავსებით მომუშავე ექიმი რევაზ ზაქარაძე, რომელიც ამავე დროს მთელ განაკვეთზე მუშაობს თბილისის ჰედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, მხოლოდ შაბათ-კვირაობით ცხადდება სამუშაოზე საბავშვო სახლში.

საბავშვო სახლი არ არის უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით, აკლიათ თეთრეული, საცვლები, საწოლები, ადგილი ჰქონდა ორი ბავშვის ერთ საწოლზე დბწოლის შემთხვევებს.

საბავშვო სახლში ადგილი ჰქონდა ბავშვებისადმი პედაგოგიურად გაუმართლებელი ღონისძიებების გატარებას. აღმზრდელმა ო. ტაბაღუამ მე-5 კლასის მოსწავლეებს ციალა კალიაროვასა და ნინო მარტინიუკს რეჟიმის დარღვევისათვის გახადა სველი ფეხსაცმელები და წინდების მარა დატოვა დერეფანში. ბავშვებს მეორე დღესაც არ დაუბრუნდათ ფეხსაცმელები.

მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, საბავშვო სახლის დირექტორმა ბ. მეგრელიძემ კვლავ დაუშვა საშტატო განაკვეთების უხეში დარღვევები. იშვიათობას არ წარმოადგენს პროფესიათა დაწყვილება და განაკვეთების თვითნებურად განაწილება. უკანონო შეთავსებები აღმოაჩნდათ დირექტორის მეუღლეს მ. ნ. მეგრელიძეს, ბუღალტერ ა. ი. ფიჩხულოვს და სხვ.

სერიოზული ნაკლოვანებებია საბავშვო სახლში აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციაში. 21 დეკემბერს ბავშვებს არ მიუღიათ სამხარი. არსებული წესების დარღვევით დგებოდა მენიუ.

საბავშვო სახლის სასურსათო საწყობის გამგეს მ. ფედოროვს საწყობში აღმოაჩნდა 146 მან. და 67 კაპ. ღირებულების ზედმეტი საქონელი და 182 მან. და 91 კაპ. ღირებული კვების პროდუქტების დანაკლისი.

ბეთანიის საბავშვო სახლის მუშაობაში არსებული ზემოხსენებული და სხვა ნაკლოვანებები, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია საბავშვო სახლის დირექტორის ამხ. ბ. ლ. მეგრელიძის, მისი მოადგილეების: ს. ს. სავიდისა და ბ. თ. ყიზილაშვილის, სამეურნაწილის გამგის გ. გამყელიძის სუსტი და მოუქნელი მუშაობით.

ბეთანიის საბავშვო სახლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები აგრეთვე განპირობებულია მის მუშაობაზე გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებისა (ამხ. ა. ერტელიშვილი) და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკი) არასაკმაო დახმარებითა და კონტროლით.

ბეთანიის საბავშვო სახლის მუშაობაში გამოვლინებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მართებულად იქნეს ცნობილი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის მიერ საბავშვო სახლის მიმართ 1972 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნებული კრიტიკული სტატია „სხვისი შვილები".

2. ბეთანიის საბავშვო სახლის დირექტორი ბ. ლ. მეკრელიძე მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდან.

3. ბეთანიის საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ს. ს. სავიდი სასწავლო პროცესზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

4. ბეთანიის საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილეს საალმზრდელო დარგში ბ. თ. ყიზილაშვილს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

5. აღმზრდელ ო. ტაბაღუას მასწავლებლისათვის შეუფერებელი საქციელისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

6. საბავშვო სახლის ბუღალტერს ა. ფიჩხულოვს, რომელმაც ვერ უზრუნველყო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის საჭირო სიმაღლეზე დაყენება, გამოეცხადოს საყვედური.

7. აღინიშნოს გარდაბნის რაონის განათლების განყოფილების არასაკმაო დახმარება და კონტროლი ბეთანიის საბავშვო სახლისადმი. განყოფილების გამგეს ამხ. ა. ერტელიშვილს მიეთითოს.

8. გარდაბნის რაიონის განათლების ვანყოფილებამ (ამხ. ა. ერტელიშვილი):

ა) სისტემატური კონტროლი დააწესოს ბეთანიის საბავშვო სახლის მუშაობაზე;

F 3809
კ. მარქსის სახ. საქ. ს. სახელმწიფო რესპუბლი.

ბ) იზრუნოს ბეთანიის საბავშვო სახლის სათანადო ცენტრალიზაციის კვალიფიკაციის მქონე აღმზრდელ-მასწავლებლებით დასაკომპლექტებლად;

გ) განიხილოს საბავშვო სახლის ახალ დირექციასთან საბავშვო სახლის ს მეუღნეო დარგში დირექტორის თანაშემწის გ. გამყრელიძის საქმიანობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხი, მიიღოს საჭირო გადაწყვეტილება და შედეგი აცნობოს განათლების სამინისტროს;

დ) საჭირო თანხები გამოუყოს საბავშვო სახლს რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენად.

9. დაინიშნოს პაიჭაძე ელენე სევერიანეს ასული ბეთანიის საბავშვო სახლისა და ამავე სახლთან არსებული რვაწლიანი სკოლის დირექტორად განაკვეთნახევარზე.

10. ბეთანიის საბავშვო სახლის დირექციამ:

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს საბავშვო სახლის მთელი საქმიანობა. არ დაუშვას მომავალში ის ნაკლოვანებანი, რაც აღნიშნულია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიასა და ამ ბრძანებაში;

ბ) პედაგოგიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რეიდის მასალები და აღნიშნული ბრძანება; დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ა) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა, აღმზრდელთა და საბავშვო სახლის სხვა მუშაკთა ყოველდღიურ საქმიანობაზე;

დ) დაუყონებლივ აღკვეთოს უკანონო შეთავსებების პრაქტიკა;

ე) იზრუნოს აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის; არ დაუშვას კვების ნორმების დარღვევა. სასადილოში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას მენიუ და სხვ;

ვ) მტკიცე კონტროლი დააწესოს სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე, მეტი ყურადღება მიაქციოს საბავშვო სახლის კორპუსებსა და ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას. სრულ წესრიგში მოიყვანოს სანიტარული კვანძები და სხვა სათავსოები;

ზ) კვების პროდუქტების მეტნაკლებობის დაშვებისათვის გა-
ათავისუფლოს სამუშაოდან სასურსათო საწყობის გამგე ძიხეძე
ფედოროვი; ამასთან ერთად, დაუყონებლივ გადაახდევინოს მას
შემოწმების შედეგად გამოვლინებული პროდუქტების ნაკლებობის
ღირებულება, ხოლო ზედმეტობა აიღოს შემოსავალში;

თ) 1973 წლის 30 მარტამდე განათლების სამინისტროს
წარმოუდგინოს დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანე-
ბის შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

11. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებამ (ამხ. ვ. მა-
ქაცარია) ერთი თვის მანძილზე ჩაატაროს ბეთანიის საბავშვო სახ-
ლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია
და შედეგი მომახსენოს.

12. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ
(ამხ. ს. არველაძე) დაუყონებლივ გამოუყოს ბეთანიის საბავშვო
სახლს საჭირო რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარი, პირ-
ველ რიგში—საწოლეი.

13. დაევალოს აჭარის ასსრ განათლების მინისტრს, სამხრეთ
ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათ-
ლების განყოფილებათა გამგეებს, უახლოეს მომავალში შეამოწმონ
და განიხილონ საბავშვო სახლების მუშაობა, დასახონ და განახორ-
ციელონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსა-
ფხვრელად, შედეგები 1973 წლის 1-ლ აპრილამდე აცნობოს სა-
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

14. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართ-
ველომ ამხ. (რ. კანდელაკი):

მ) მკაცრი კონტროლი დააწესოს აღნიშნული ბრძანების შეს-
რულების მიმდინარეობაზე;

ბ) მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოსთან
ერთად, 10 დღის ვადაში შეამოწმოს ბეთანიის საბავშვო სახლში
ტრანსპორტის მდგომარეობის საკითხი და შედეგი მომახსენოს;

გ) გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებასთან ერ-
თად, 1973 წლის 8 აპრილამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრუ-
ლების მიმდინარეობა და შედეგი მომახსენოს.

15. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროს (ამხ. ვ. ბოჭორიშვილი) ექიმი-პედიატრის გამოყოფა
ბეთანიის საბავშვო სახლში დასანიშნავად.

16. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე სტატიის „სხვისი შვილების“ განხილვის შედეგების შესახებ ნობოს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 4 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს 1973 წლის 18 იანვრის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი თ

რესპუბლიკური კონკურსის—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის განყოფილება, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტი და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური აცხადებენ ტრადიციულ რესპუბლიკურ კონკურსს—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“.

კონკურსის მიზანია

მოსწავლეთა შორის საკუთარი სკოლისადმი პატრიოტული გრძნობის აღზრდა, შრომითი ჩვვეების დანერგვა, სკოლის შენობასა და მის შემოგარენში ესთეტიკური გარემოს შექმნა, მცენარეებისა და, საერთოდ, ბუნებისადმი სიყვარულისა და გულისხმიერების გრძნობის აღძვრა

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა სკოლას, სკოლა-ინტერნატს, საბავშვო ბაღს, ბაგა-ბაღს და სკოლისგარეშე დაწესებულებას.

კონკურსის ჩატარებას ადგილებზე ხელმძღვანელობენ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან შექმნილი კონკურსის ჩამტარებელი კომისიები, რომლებიც სკოლებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიყვანენ კონკურსის დებულებას, მოსთხოვენ მათ, აიღონ კონკრეტული ვალდებულებანი სკოლისა და მისი შემოგარენის გაკეთება-გამშვენიერებისათვის და პრაქტიკულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას გაუწევენ მათ საქმიანობას სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბრის თვეში). ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის განყოფილების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურის წარმომადგენლებთან ერთად ატარებენ კონკურსის შედეგების დათვალიერება-შემოწმებას, მოსთხოვენ სკოლებს ჩატარებული მუშაობის წერილობით ანგარიშს და ღირსეულად გაუწევენ რეკომენდაციას, რათა ისინი დაჯილდოებულ იქნენ რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ; ამასთან, წარმოუდგენენ მას სკოლებში ჩატარებული მუშაობის ამსახველ მასალებს (ფოტო-ალბომებს, ჩანახატებს და სხვ.).

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, ადგილებიდან მიღებული მასალების საფუძველზე, აჯამებს კონკურსის შედეგებს ოქტომბრის თვეში.

კონკურსში გამარჯვებული სკოლები, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები, ბაგა-ბაღები და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით და დიპლომებით, ხოლო დაწესებულების ხელმძღვანელ-მასწავლებლები და მოსწავლეები—ტურისტული საგზურებით მოსკოვსა და ლენინგრადში, აგრეთვე საქართველოს ისტორიული ძეგლების გასაცნობად.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართია:

ქ. თბილისი, შ. დადიანის ქ. № 11,
ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური
კ ა ბ ი ნ ე ტ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. **ლაშქარაშვილს**

მე-2 რესპუბლიკური კონკურსის—„ვინ უფრო გაამწვანებს და გაალამაზებს სკოლასა და მის შემოგარენს“ შედეგების შესახებ

მოხსენებითი ბარათი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის განყოფილების, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტისა და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის თანამშრომლების მიერ დაჯამებულ იქნა II რესპუბლიკური კონკურსის—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს სკოლასა და მის შემოგარენს“ შედეგები. დაჯამების შედეგად აღმოჩნდა, რომ კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 28 რაიონმა, თითქმის ყველა ობიექტი ადგილზე იქნა დათვალიერებული.

რესპუბლიკის ბევრმა სკოლამ სწორად გაიგო კონკურსის მიზანი და ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარა, ამ მეტად სასარგებლო საქმეში მოსწავლეები მასობრივად იქნენ ჩაბმულნი, რამაც ხელი შეუწყო მათში შრომითი ჩვევების გამომუშავებას, დაირგო მრავალი ათასი ძირი ხე, გაშენდა ყვავილნარები, გამოყვანილ იქნა სხვა და სხვა ჯიშის ოთახის ყვავილები, ფაქიზად და გემოვნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფორმდა სკოლის კაბინეტები, საკლასო ოთახები, დერეფნები. მაგ.: გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ა. ა. საგანელიძე) აღსაზრდელებმა პედკოლექტივის ხელმძღვანელობით ბაღნარად აქციეს ინტერნატის ეზო, ისინი კონკურსში ყველაზე პირველნი ჩაებნენ და მას შემდეგ ყოველ წელიწადს ახალ-ახალ გაზონებს და სხვა და სხვა ჯიშის უამრავ ხეხილს რგავენ და უვლიან, გამოჰყავთ ოთახის ყვავილები, ზრუნავენ მის გაზრდაზე. არანაკლები მუშაობა აქვს ჩატარებული ცხინვალის სკოლა-ინტერნატს (დირექტორი დ. თ. ვალიევი). აქ დარგეს და გაახარეს 44 ძირი კედარი, 28 შავი ფიჭვი, 8 ევროპლისფერი ნაძვი, 23 ძირი ღვია, 39—იფნა. ცაცხვი—19, ნეკერჩხალი—7, ტუია—210, მრავალწლიანი ვარდის ბუჩქი—118 იასამანი—17, 190 ძირი ვაზის ხე, რომლითაც ხეივანია გაკეთებული სკოლის შესასვლელში. გარდა ამისა, 21 ძირი ვაშლის ხე, მსხლის—23, ატმის—23, ქლიავის—12, შვინდის—6. ასევე, ზუგდიდის რაიონის ინგირის 8-წლიანი სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ხ. ე. ბაღათურია) მოსწავლეებმა დირექტორის მოადგილის სასწ. მუშაობის დარგში ამხ. თ. ვ. ჯაბუას უშუალო ხელმძღვანელობით დარგეს და გაახარეს 160 ძირი ტირიფი, კედარი—110, რცხილა—40, ცაცხვი—10, ჭადარი—50, მუხა—10, ტუია—50, ალვის ხე—30, ევკალიპტი—20, მანდარინი—260, ბუჩქოვანი მცენარეები—80; საწოლ ოთახებს ამშვენებს მათივე გამოყვანილი ოთახის ყვავილები, ეზოში გაკეთებული აქვთ აუზი, სადაც უამრავ ცოცხალ თევზს უვლიან.

ყველასათვის ცნობილია თერჯოლის რაიონის ზედა საზანოელ მოსწავლეთა თაოსნობა კარ მიდამოს გამწვანების საკითხში. მათ ჩვენს კონკურსში 1971 წლიდან მიიღეს მონაწილეობა. დარგეს და გაახარეს 33.000 ძირი ხე. გამწვანებისათვის სკოლის კარ-მიდამო რომ არ ეყოთ, მიმართეს ზედა საზანოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიას, ეხმარებიან საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, ამწვანებენ მათ ტერიტორიას და მრავალ სასარგებლო საქმიანობას ეწევიან.

არანაკლები მუშაობა აქვთ ჩატარებული: ქ. სოხუმის №-20 სკოლას (დირექტორი ნ. ს. დარახველიძე), წალენჯიხის 8-წლიან სკოლა-ინტერნატს (დირექტორი გ. ე. ლუკავა), ჭიათურის რაიო-

ნის ნიგოზეთის საშუალო სკოლას (დირექტორი ა. პ. ლაბაძე), საჩხერის 1-ლ საშუალო სკოლას (დირექტორი გ. ო. ხადუნიშვილი, ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი გ. ჩხოლარია), ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის სკოლა-ინტერნატს (დირექტორი ა. ი. ჭითავა), ქ. ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ა. მ. გვაზავა) და სხვ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა რაიონის განათლების განყოფილება არ მოეკიდა გულისყურით ამ კონკურსს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად, ამ კონკურსში სკოლა-ინტერნატები გამოვიდნენ გამარჯვებულნი. ყველა სკოლამ ვერ გაიგო კონკურსის მიზანი. მათ სკოლების კაპიტალური შეკეთებები და ინვენტარის შეძენა ჩათვალეს დიდ მუშაობად. ასევე, აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ განათლების განყოფილებებმა დროულად არ გამოგზავნეს შეტყობინებები, სადაც კონკურსის დებულებით გათვალისწინებულ **კომისიებს** უნდა შეეჯამებინათ მუშაობის შედეგები და გამოევლინებინათ კონკურსში გამარჯვებულნი და არა ფარატინა ქაღალდზე ორი სიტყვით ჩამოეთვალათ რაიონის ან ქალაქის ის სკოლები, რომლებიც კონკურსში მონაწილეობდნენ. მაგალითად, ასეთი მასალები გვაქვს მიღებული ორჯონიკიძის, გარდაბნის, ამბროლაურის, ბოლნისის, კასპის, გორის და სხვა რაიონებიდან.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებამ შეგვატყობინა კონკურსში გამარჯვებული, ხოლო სინამდვილეში უკეთესი აღმოჩნდა სხვა. ასე მაგალითად, ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილება გვატყობინებს, რომ ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აუდიტორიებს, ფოიეებს და დარბაზებს ალამაზებს და ამშვენებს ჭაობის გვიმრა, ჭორტანა, ბალბა და ოთახის მცენარეთა სხვა ნაირსახეობანი, ნორჩი ნატურალისტების მიერ გამწვანებულ იქნა სასახლის მეზობლად მდებარე ქალაქის № 2 ბაგა-ბაღის ეზო, დარგულია 50 ძირი ნაყოფის მომცემი და მარადმწვანე მცენარე. ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ თვით სასახლის ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს მაღლობ მთის წვერზე, ხოლო მისასვლელი გზა მხოლოდ საბაგიროა და მის ახლომახლოს არავითარი ბაგა-ბაღი არ არსებობს, ერთი ძირი ხეც კი არ არის დარგული, რაც შეეხება დერეფნებისა და დარბაზების გამწვანებას, მხოლოდ რამოდენიმე ქოთანი წყლის გვიმრა დგას.

ასევე შეიძლება აღვნიშნოთ ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებაზეც: მივიღეთ ერთი მომართვა, სადაც გვატყობინებენ, რომ მონაწილეობა მიიღო მრავალმა სკოლამ და ჩამოთვლილია 6 სკოლა, შემდეგ მივიღეთ ფოტოალბომი და ახალი მომართვა განათლების განყოფილების გამგის ამხ. კ. შარტავას ხელმოწერით, ს დ ც ავატყობინებს, რომ რაიონულ კონკურსში გამარჯვებულია ქ. ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლა, ნორჩ მეყვავილეთა წრე და მისი ხელმძღვანელი ნ. ა. სახოკია წახალისების ღირსია. სინამდვილეში კი ნოქალაქევის საშუალო სკოლა აღმოჩნდა საუკეთესო.

ასევე, კასპის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ო. გორჯოლაძე) გვატყობინებს, რომ მონაწილეობა მიიღო მრავალმა სკოლამ. მათ შორის საუკეთესოა კასპის სკოლა-ინტერნატი და სოფ. დოესის საშუალო სკოლა, რაც შეეხება კასპის სკოლა-ინტერნატს, ჩვეულებრივ ტერიტორია გამწვანებულია ინტერნატის დაარსების დღიდან, ხოლო ამჟამად კონკურსის მიმდინარეობის შესახებ არაფერი იციან. დოესის საშუალო სკოლის დათვალიერება ვერ მოვახერხეთ, ვინაიდან მიმდინარეობდა სკოლის კაპიტალური შეკეთება და ახალი კორპუსის მიმატება, რის გამოც ეზო დაფარულია სამშენებლო მასალებით.

ამის მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგის ასეთი პასიურობა ამ კონკურსის მიმართ ისევ ჩვენი ბრალია და აი, რატომ: I კონკურსის დაჯამებისას ადგილზე არავინ ყოფილა შესამოწმებლად, დიპლომები გაცემულ იქნა განათლების განყოფილებათა გამგეების წერილობით მასალებზე დაყრდნობით. სულ 104 დიპლომი გაიცა, ამან განაპირობა ასეთი განწყობილება. უფრო მეტიც, ზოგიერთი განყოფილების გამგის დაუდევრობის გამო რაიონს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ამ კონკურსში, ჩვენს მიერ გაგზავნილი კონკურსის დებულება უჯრებში ჩაიკეტა და ამით დაამთავრეს ამ საკითხებზე მუშაობა. ასე მაგალითად, გულისტკივილით აღვნიშნავთ მცხეთის რაიონის (განათლების განყოფილების გამგე ვ. ნ. ცანავა) მისაქციელის საშ. სკოლის შესახებ, შესანიშნავადაა დაყენებული ყვავილების ახალ-ახალი ჯიშების გამოყვანა, წელს საუკეთესო სათბური ააგეს, ეზოკარმიდამო მრავალფეროვანი ყვავილებითა და ხეხილით არის

ამწვანებული, დიდი და პატარა ზრუნავს მათ მოვლაზე. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ხდება ყოველგვარ კონკურსში მონაწილეობის გარეშე, ვინაიდან კონკურსის დებულებას სკოლამდე არ მიუღწევია. იგივე შეიძლება ითქვას ქ. ბათუმის განათლების განყოფილებაზე (გამგე ამხ. დ. ღლონტი). ბათუმის სკოლა-ინტერნატს 15 ჰექტარზე მეტი ფართობი აქვს, თვალს მოგტაცებთ მრავალფეროვანი ხეების სიმრავლე, ყვავილნარები, გაზონები, სკვერები, ბილიკები და მრავალი სხვა საინტერესო ნამუშევარი. სამწუხაროდ, ესენიც კონკურსის გარეშე რჩება, ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება ქ. რუსთავის (განათლების განყოფილების გამგე ა. შარვაშიძე), ჩხოროწყუს რაიონის (განათლების განყოფილების გამგე ვ. ძ. როდონაია), ქ. გორის (განათლების განყოფილების გამგე ვ. ზექალიშვილი), სიღნაღის რაიონის (განათლების განყოფილების გამგე ელ. დალაქიშვილი), ლაგოდეხის (განათლების განყოფილების გამგე ან. ბეგიაშვილი), წითელწყაროს რაიონის (განათლების განყოფილების გამგე მ. ლომაშვილი), ოჩამჩირის რაიონის (განათლების განყოფილების გამგე ი. ლაბახუა), გურჯაანის რაიონის (განათლების განყოფილების გამგე მ. თოდაშვილი) და სხვა რაიონებიდან.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ. თბილისის არც ერთ რაიონს არ მიუღია კონკურსში მონაწილეობა, თუმცა ამის საშუალება საკმარისად გააჩნიათ. 109-ე საშუალო სკოლას (დირექტორი რ. ა. ძამოევი) აქვს დაახლოებით 700 კვ. მ. ფართობი. რომელიც მშვენივრად არის მოვლილი, ჩაყრილია ვაზი, სხვა და სხვა ჯიშის ხეხილი, რომელსაც მზრუნველობით უვლიან. საკლასო ოთახებსა და დერეფნებში დეკორაციული ყვავილებია გამოფენილი, რაც თავისებურად ამშვენებს სკოლას. სკოლის დირექტორი რ. ძამოევი არ იცნობს დებულებას, მაგრამ სკოლის კარ-მიდამოს გამწვანებასა და გალამაზებაზე ძაინც მუშაობს. მის გვერდითაა 117-ე საშუალო სკოლა. მართალია, სკოლის დირექტორი მ. მ. სვანიძე ამ სკოლაში მუშაობს მხოლოდ 1972 წლის თებერვლიდან, მიუხედავად იმისა, რომ დებულებას იცნობს სხვა სკოლებში მუშაობის გამოცდილებით, კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია. რაც შეეხება 152-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ნ. ფ. შარაშიძე) პედკოლექტივს, არც უფიქრიათ იმ ტერიტორიის წესრიგში მოყვანაზე, გალამაზებასა და გამწვანებაზე, რომელიც მათ ეკუთვნით,

ასევე შეგვიძლია ვილაპარაკოთ 138-ე საშუალო სკოლის (დირექ-
ტორი ჟ. ვ. შარაშენიძე), 143-ე (დირექტორი აკ. ანდღულაძე),
48-ე (დირექტორი დ. კალანდაძე) და სხვა სკოლების კოლექ-
ტივებზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური
სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის კლასგარეშე
და სკოლისგარეშე მუშაობის განყოფილების
გ ა მ გ ე **ზ. ოდიშარია**

ბორის ძნელაძის სახელობის
პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის
ბიოლოგიის კაბინეტის გ ა მ გ ე **თ. ჯიქიძე**

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური
სადგურის მ ე თ ო დ ი ს ტ ი **ვ. მახარაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 1 თებერვლის ბრძანება № 61

მე-2 რესპუბლიკური კონკურსის—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“—შედეგებისა და III კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტრადიციული მე-2 რესპუბლიკური კონკურსი—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს სკოლასა და მის შემოგარენს“ წინა კონკურსთან შედარებით უკეთესად ჩატარდა, მასში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 28 რაიონმა. შედეგებმა გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის ბევრმა სკოლამ სწორად გაიგო კონკურსის მიზანი და დიდი მუშაობა ჩაატარა სკოლის კარ-მიდამოს გამწვანებისა და გამშვენიერებისათვის, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა შორის შრომითი ჩვევების დანერგვას, სკოლის შენობასა და მის შემოგარენში ესთეტიკური გარემოს შექმნას. დაირგო მრავალი ათასი ძირი ხე, გაშენდა ყვავილნარები, ფაქიზად და გემოვნებით გაფორმდა სკოლის კაბინეტები, სასკოლო ოთახები, დერეფნები. ამ მხრივ, საუკეთესო შედეგები აქვთ გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატს (დირექტორი ა. ა. საგანელიძე), თერჯოლის რაიონის ზედასაზანოს საშუალო სკოლას (დირექტორი ა. ს. ჯაფარიძე), საჩხერის 1-ლ საშუალო სკოლას (დირექტორი გ. ო. სადუნიშვილი), ჭიათურის რაიონის სოფ. ნიგოზეთის საშუალო სკოლას (დირექტორი ა. პ. ლაბაძე), ცხინვალის სკოლა-ინტერნატს (დირექტორი დ. თ. ვალიევი), ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის 8-წლიან სკოლა-ინტერნატს (დირექტორი ხ. ე. ბალათურია), წალენჯიხის 8-წლიან სანატორიულ სკოლა-ინტერნატს (დირექტორი გ. ე. ლეჟავა), ქ. სოხუმის მე-20 საშუალო სკოლას (დირექტორი ნ. ს. დარახველიძე), ქ. ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ა. მ. გვაზავა).

კარგად იმუშავეს აგრეთვე მახარაძის რაიონის ძიმითის (დირექტორი ნ. ს. მუხაშავრია), მელექედურის (დირექტორი გ. ... ლიაძე), მერიის (დირექტორი რ. გოგუაძე) საშუალო სკოლებმა, ახალციხის რაიონის ვალეს 1-მა საშუალო სკოლამ (დირექტორი გ. ა ...ეუჟუნაძე), დუშეთის 1-მა საშუალო სკოლამ (დირექტორი ქ. ვ. ბაშარული), ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლამ (დირექტორი ვ. მ. ჩხოლარია), ქ. სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლამ (დირექტორი კ. კ. კოპალეიშვილი), ქ. სოხუმის მე-10 აფხაზურმა საშუალო სკოლამ (დირექტორი გ. ი. ჩუკბარი).

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ არ გამოეხმაურა ამ სასარგებლო ღონისძიებას და ვერ უზრუნველყო მასში სკოლების და მოსწავლეების მასობრივად ჩაბმა. ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგის დაუდევრობის გამო, სკოლებამდე არ არის დაყვანილი კონკურსის დებულება. ასე, მაგალითად, მცხეთის რაიონის (განათლების განყოფილების გამგე ვ. ცანავა), ქ. ბათუმის (განათლების განყოფილების გამგე დ. ღლონტი), ჩხოროწყუს რაიონის (განათლების განყოფილების გამგე ვ. ძ. როდონაია), ქ. ფოთის (განათლების განყოფილების გამგე—ა. ცხადაია), ქ. გორის (განათლების განყოფილების გამგე ვ. ზექალაშვილი) სკოლებმა არაფერი იციან აღნიშნული კონკურსის შესახებ.

ქ. თბილისის (განათლების განყოფილების გამგე—თ. ...ეაძე) არც ერთ რაიონს არ მიუღია მონაწილეობა კონკურსში, მაშინ როდესაც 152-ე (დირექტორი ნ. ფ. შარაშიძე), 143-ე (დირექტორი აკ. ანდღულაძე), 48-ე (დირექტორი დ. კალანდაძე) საშუალო სკოლების დიდი ტერიტორიები მთლიანად მიტოვებულია უყურადღებოდ და არავითარი გასამწვანებელი სამუშაოები არ ტარდება. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების კიდევ მრავალი სკოლის დასახელება შეიძლება, რომელთაც აქვთ საკმაოდ დიდი კარმიდამოები, მაგრამ მათ კეთილმოწყობაზე და ესთეტიკური გარემოს შექმნაზე არავინ ფიქრობს. მაგალითად: ქ. გურჯაანის 1-ლი შუალო სკოლა, ხელვაჩაურის რაიონის პიონერთა სახლი, ჭიათურის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, მახინჯაურის ქართული საშუალო სკოლა, ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-3 საშუალო სკოლა და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დასაჯილდოებლად წარმოდგენილი სკოლებმს სია (თან ერთვის).

II. დამტკიცდეს კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ჯ. ვ. მუჯირი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი (თავმჯდომარე),

2. ღამბაშიძე ნ. ო.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი,

3. ოდიშარია ზ. ვ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის განყოფილების გამგე,

4. ჯიქიძე თ. ბ.—ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე,

5. ბაქრაძე ი. ე.—ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალური სადგურის დირექტორი,

6. ერგემლიძე დ. აკ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი,

7. ჩირინაშვილი ირ. მ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი.

III. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ ყველა სკოლის მონაწილეობა III რესპუბლიკურ კონკურსში—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს სკოლასა და მის შემოგარენს“.

IV. კონკურსის ჩამტარებელი ადგილობრივი კომისიების მიერ შეჯამებული მასალების წარმოდგენის ვადად დაწესდეს 10 სექტემბერი, ხოლო რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა კონკურსის შედეგები დააჯამოს ოქტომბრის თვეში.

V. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და ახალგაზრდა წავლეთა სასახლემ, ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალურმა სადგურმა პერიოდულად მიავლინონ თავისი მუშაკები აღგილებზე კონკურსის ჩატარებაში დახმარების აღმოსაჩენად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 1 თებერვლის ბრძანება № 61-ის დანართი

მე-2 რესპუბლიკურ კონკურსში—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“— წარმატებისათვის დაჯილდოვდნენ:

I ხარისხის დიპლომითა და ექსკურსიით:

1. გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატი (ექსკურსია ქ. ლენინგრადში, 5 მოსწავლე და 1—ხელმძღვანელი),
2. ცხინვალის სკოლა-ინტერნატი—(ექსკურსია ქ. ლენინგრადში, 5 მოსწავლე და 1 ხელმძღვანელი),
3. თერჯოლის რაიონის ზედასაზანოს საშუალო სკოლა (ექსკურსია ქ. მოსკოვში, 5 მოსწავლე და 1 ხელმძღვანელი),
4. ქ. სოხუმის მე-20 საშუალო სკოლა (ექსკურსია ქ. მოსკოვში, 5 მოსწავლე და 1—ხელმძღვანელი).

I ხარისხის დიპლომით:

1. საჩხერის 1-ლი საშუალო სკოლა,
2. ჭიათურის რაიონის სოფელ ნიგოზეთის საშუალო სკოლა,
3. ზუგდიდის რაიონის ინგირის 8-წლიანი სკოლა-ინტერნატი,
4. ახალქალაქის რაიონის ვალეს 1-ლი საშუალო სკოლა,
5. ქ. ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლა.

II ხარისხის დიპლომით:

1. ხელვაჩაურის მე-2 საშუალო სკოლა,
2. დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლა,
3. ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლა,
4. ქ. სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა,
5. ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სკოლა ინტერნატი,
6. ქ. სოხუმის მე-10 აფხაზური საშუალო სკოლა,

7. ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევის საშუალო სკოლა,
8. ქ. ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ხარისხის დიპლომით:

1. სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშუალო სკოლა,
2. მახარაძის რაიონის მელექედურის საშუალო სკოლა,
3. მახარაძის რაიონის ძიმითის საშუალო სკოლა,
4. მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლა,
5. ახალციხის მე-2 საშუალო სკოლა-ინტერნატი,
6. თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულის საშუალო სკოლა,
7. ლანჩხუთის მე-2 საშუალო სკოლა,
8. ქ. თელავის მე-3 საშუალო სკოლა,
9. თელავის რაიონის სოფელ წინანდლის საშუალო სკოლა,
10. თელავის რაიონის სოფელ ფშაველის საშუალო სკოლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 18 იანვრის ბრძანება № 25

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებასა და მათი მოვლისა და ექსპლოატაციისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ მიუხედავად განათლების სამინისტროს არაერთგზის ბრძანებისა (1970 წლის 19 აგვისტოს № 428, 1971 წლის 2 თებერვლის № 57, 1971 წლის 9 ივლისის № 384), ჯერ კიდევ ადგილი აქვს სამინისტრო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კუთვნილი მსუბუქი და საბარგო მანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევის ფაქტებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, წარმოებათა ხელმძღვანელების მხრივ მათდამი კონტროლის შესუსტების შედეგია.

არ არის გამოყოფილი მანქანების მუდმივი და სათანადოდ დაცული სადგომი ადგილები, ზოგჯერ ავტომანქანები მძღოლებს სახლებში უყენიათ, რაც არ გამორიცხავს მათ გამოყენებას პირადი გამორჩენის მიზნით. ჯერ კიდევ დიდია დაუტვირთავი მანქანების გარბენის ხვედრითი წონა. ხშირად, სპეციალური დანიშნულების მანქანებს (სასწავლო) მსუბუქ მანქანებად იყენებენ.

საგზურების გაცემა, აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება დადგენილი წესების დარღვევით. არ იცავენ საწვავის, საცხები ნივთიერებების ხარჯვის ნორმებს და ა. შ.

არსებული დადგენილებების შესაბამისად, „ავტოტრანსპორტის მუშაობის მოწესრიგებისა და მის ექსპლოატაციაზე კონტროლის გაძლიერების“ განსახორციელებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, განათლების სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულებებს დირექტორებმა:

ა) ყოველდღიური კონტროლი დააწესონ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაზე;

ბ) გამოყონ ავტომანქანების მუდმივი სადგომი ადგილები და დააწესონ მათი დაცვა;

გ) სათანადო წესრიგი დაამყარონ საგზურების გაფორმების საქმეში და განსაკუთრებულ აღრიცხვაზე აიყვანონ მძღოლებზე გაცემული საგზურები;

დ) მკაცრი ზედამხედველობა დააწესონ ავტომანქანის სამუშაოზე გასვლისა და სამუშაოდან დაბრუნების დროზე;

ე) კატეგორიულად აკრძალონ ავტომანქანების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასვლა;

ვ) მაქსიმალურად შეამცირონ დაუტვირთავი ავტომანქანების გარბენა, გადამჭრელი ზომები მიიღონ საწვავის, საცხები მასალებისა და საბურავების ეკონომიური ხარჯვისათვის;

ზ) მკაცრი სახელმწიფოებრივი კონტროლი დააწესონ და გადაჭრით აღკვეთონ ანგარების მიზნით სახელმწიფო მანქანების გამოყენება;

თ) უმკაცრესი კონტროლი დააწესონ სკოლებისათვის სასწავლო მიზნით გამოყოფილი მანქანების ექსპლოატაციაზე და არ დაუშვან მათი სხვა მიზნებით გამოყენება;

ი) ავტომანქანების გამოყენების საქმეში კანონიერების დარღვევის არცეთი ფაქტი არ დატოვონ რეაგირების გარეშე და დამნაშავეთა მიმართ მიიღონ გადამჭრელი ზომები.

2. გაფრთხილებულ იქნეს განათლების სამინისტროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელი, რომ ისინი პერსონალური პასუხისმგებელი არიან მათ განკარგულებაში მყოფი ტრანსპორტის მუშაობაზე.

3. განათლების სამინისტროს შესაბამისი სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსებმა, ქვემდებარე დაწესებულებების შემოწმების დროს, შეისწავლონ ავტომანქანების დანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხი.

4. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნებულ იქნეს განათლების სამინისტროს ბრძანებებებისა და ინსტრუქციების უახლოეს ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 18 იანვრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 25
ОТ 18 ЯНВАРЯ 1973 ГОДА ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О мероприятиях по улучшению работы и усилению контроля за содержание и эксплуатацию автомобильного транспорта учреждений и организаций Министерства просвещения Грузинской ССР

Проведенными проверками установлено, что несмотря на неоднократные приказы Министсрства просвещения Грузинской ССР, как-то, от 19 августа 1970 г. № 428, от 2 февраля 1971 г. № 57, от 9 июля 1971 г. № 384, все еще имеют место факты нарушений правил эксплуатации легкового и грузового автотранспорта, принадлежащего учреждениям и организациям Министерства, что прежде всего является результатом ослабления контроля за его работой со стороны руководителей учреждений.

Не установлены постоянные охраняемые места стоянок автомашин, иногда автомашина находится на дому у водителя, что не исключает возможность использования их в личных целях. Нередки случай холостых пробегов автомашин. Машины специального назначения (учебные и др.) используются в качестве легковых.

Хранение, учет и выдача путевых листов осуществляется с нарушением установленных правил.

Не соблюдаются нормы расхода горючего, смазочных средств и т. д.

Во исполнение существующих постановлений в целях упорядочения работы автотранспорта и усиления контроля за его эксплуатацией,

П р и к а з ы в а ю

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, Заведующему отделом народного образования Юго-Осетинской А/О, заведующим районными (городскими) отделами просвещения, директорам всех подведомственных Министерству республиканского подчинения учреждений:

а) установить ежедневный контроль над работой всех принадлежащих учреждению автомобилей, как легковых, так и грузовых;

б) установить места постоянных стоянок автомашин с соответствующей охраной;

в) навести должный порядок и оформлении путевых листов, взять на особый учет выдаваемые водителям путевые листы, как это установлено для документов строгой отчетности;

г) ввести строгий учет времени выхода на работу и возвращение с работы автомашин;

д) категорически запретить выезды автомашин за пределы республики;

е) максимально снизить холостой пробег автомашин, проведя решительную борьбу за экономию горючего, покрышек и др ;

з) создать строжайшие условия, исключающие случай использования автомашин в корыстных целях, наведя в этом деле государственный порядок;

ж) ввести строжайщий контроль за эксплуатацией автомашинн специального назначения и особенно, выделенных школам на учебные цели;

и) не оставлять ни одного случая нарушения законности в исползовании автотранспорта без реагирования, привлекая виновных к строгой ответственности.

2. Предупредить всех руководителей учреждений и организаций Министерства просвещения, что они несут персональную ответственность за работу находящего в их распоряжении автотранспорта.

3. Начальникам соответствующих управлений и отделов Министерства при проверке работы подведомственных учреждений проверять вопросы работы и использования по назначению автотранспорта

4. Указанный приказ опубликовать в ближащем номере сборника приказов и распоряжений Министерства

Основание: Постановление Коллегии МП Грузинской ССР 18 января 1973 года.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 18 იანვრის დადგენილება

გეგეჭკორის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“ ახალი საკავშირო კომპლექსს ნორმატივების ჩაბარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის განათლების განყოფილების მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ

მოისმინეს რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსის ი. ბაცელაშვილის ინფორმაცია გეგეჭკორის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშდ ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის განათლების განყოფილების მიერ გაწეული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ, განათლების სამინისტროს კოლეგია

ა დ გ ე ნ ს

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ გეგეჭკორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში „მშდ“ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიმდინარეობის საკითხის შესწავლისას გამოვლენებული სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოფხვრის მიზნით გაატარა ქმედითი ღონისძიებანი, რამაც ხელი შეუწყო რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმრავლესობაში „მშდ“ კომპლექსის ნორმატივების ხარისხობრივი ჩაბარების ნაწილობრივ გაუმჯობესებას, ამასთან „მშდ“ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში დაშვებული შეცდომების, ცურვასა და სროლაში ნორმატივების ჩაუბარებლად მოსწავლეებისათვის ოქროსა და ვერცხლის ნიშნების დამსახურებულად მინიჭებისათვის

რაიონის სკოლა-ინტერნატის, გეგეჭკორის № 1, დიდიჭყონის, სალხინოსა და მუხურჩის სკოლების დირექტორებს: მ. მამარდაშვილს, კ. ხაჟომიას, ვ. ჯანჯღავას, ვ. ბასილაიას და ო. გახოკიას გამოეცხადა საყვედური, ხოლო ამავე სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებ: კ. ჯანჯღავას, პ. ბორისოვს, ე. მიქელავას, ტ. კილასონიას და ბ. დავითაიას—სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით.

2. დაევალოს რაიონის განათლების განყოფილებას (ამხ. შ. ციანავა) მკვეთრად გააუმჯობესოს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე, სკოლა-ინტერნატისა და ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი; ყველა პირობა შეუქმნას კოლებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის; განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს სკოლებში „მშდ“ ახალი კომპლექსის ნორმატივებისათვის მოსწავლეთა ფიზიკური და თეორიული მომზადებისა და მათ მიერ ნორმების ხარისხიან ჩაბარებაზე.

დახმარება გაუწიოს სკოლებს სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზების შეკეთებასა და მათი სამეცადინო სპორტული ინვენტარითა და მოწყობილობით უზრუნველყოფის საქმეში;

მოსწავლეთა მიერ ცურვის შესწავლისა და მათ მიერ „მშდ“ კომპლექსის ნორმების წარმატებით ჩაბარებისათვის ხელი შეუწყოს სკოლებს მარტივი ტიპის კომბინიებული ხანძარსაწინააღმდეგოსაცურაო აუზების მშენებლობაში. პერიოდულად მოისმინოს განათლების განყოფილების საბჭოს სხდომაზე სკოლებში „მშდ“ კომპლექსის ჩაბარებისა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მიმდინარეობის საკითხები.

3. რაიონის სკოლის დირექტორებმა:

ხელი შეუწყონ ფიზკულტურის მასწავლებლებს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების მაღალ მეთოდურ დონეზე ჩატარებასა და საპროგრამო მასალის მთლიანად გავლაში, უზრუნველყონ ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე მუშაობის ნორმალური ჩატარებისათვის სპორტული ბაზების შეკეთება და მათი სათანადო სპორტული ინვენტარით მოწყობა.

ორგანიზებულად განამტკიცონ სკოლის ფიზკულტურის კოლექტივი. ფართოდ გაშალონ სკოლაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ყურადღებით გააერთიანონ სპორტულ სექციებში კარგ სპორტული მონაცემების მქონე მოსწავლეები;

ყველა ზომა მიიღონ მოსწავლეთა მიერ „მშდ“ კომპლექსის ნორმების წარმატებით ჩაბარებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დამამთავრებელი კლასების ყველა მოსწავლის მიერ მშდ კომპლექსის ნორმების ჩაბარებას. არ დაუშვან „მშდ“ ნიშანზე ნორმების ჩაბარების საქმეში სიყალბისა და მოსწავლეებისათვის ოქროსა და ვერცხლის ნიშნების დაუმსახურებლად მინიჭების ფაქტები

4. გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილებამ აღნიშნული ბრძანება გააცნოს ყველა სკოლის ადმინისტრაციას და პედაგოგიურ კოლექტივს

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ და ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტმა მკაცრი კონტროლი დააწესონ რესპუბლიკის რაიონების სკოლებში მოსწავლეთა მიერ „მშდ“ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიმდინარეობაზე და შემოწმების შედეგები წარმოადგინონ კოლეგიის სხდომებზე განსახილველად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 23 იანვრის არძანება № 32

1972 წლის III კვარტალში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის შეხახებ

ადგილებზე ჩატარებული შემოწმებითა და განათლების სამინისტროში წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ მახარაძის, კასპის, განთიადის, ჩაისუბნის საშუალო სკოლა-ინტერნატებში, ასპინძის, სამგორის, ონისა და ეწერის საბავშვო სახლებში დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სასურსათო საქონლით მომარაგება და აღსაზრდელთა კვება. სკოლა-ინტერნატთა დამხმარე მეურნეობის ერთ ნაწილს გარკვეული წვლილი შეაქვს ბავშვთა კვების გაუმჯობესების საქმეში.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის რიგ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში სასურსათო პროდუქტების მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების საქმეში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

22 სკოლა-ინტერნატსა და 9 საბავშვო სახლში კვება ორ ცვლად მიმდინარეობს.

სპორტული პროფილის, სატყეო და სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში დღემდე არ არის დადგენილი დაშვებული თანხების შესატყვისი კვების ნორმები.

ინტერნატული დაწესებულებების ადმინისტრაცია და სამედიცინო პერსონალი სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებენ კვების ბლოკის საქმიანობაზე. ყველგან შემოღებული არ აქვთ წუნდების ჟურნალი, ნაკლებად იცნობენ კვების პროდუქტთა კულინარული დამუშავების წესებს, მენიუსა და მენიუ-გასაწილების შედგენის პრინციპებს. ადგილებზე არ გააჩნიათ ინტერნატულ და-

წესებულებებში კვების ორგანიზაციისათვის სახელმძღვანელო ცხრილები, უმეტეს შემთხვევაში, კერძების საერთო კალორიტი დაცულია ნახშირწყლების ხარჯზე, ნაკლებია ცილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფერხებებს აქვს ადგილი სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციების სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში. ცეკავშირის დაქვემდებარებაში მყოფმა ორგანიზაციებმა კვების პროდუქტებით ვერ უზრუნველყვეს ყაზბეგის, ოიანეთის, თეთრი წყაროს, ბოგდანოვკის, ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატები, სიღნაღისა და კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატები, კარდანახის საბავშვო სახლი. ყაზბეგის სკოლა-ინტერნატისათვის სრულებით არ მიუციათ ლობიო, ხორბლის ფქვილი, თევზი, ყველი, მცენარეული ზეთი და კვერცხი. დასახელებულ ინტერნატულ დაწესებულებებს დააკლეს კვერცხი—8578 ც., ლობიო 394 კგ., თევზი—1346 კგ., ახალი რძე—2424 ლიტრი, ბოსტნეული—1576 კგ., მცენარეული ზეთი—195 კგ. და მრავალი სხვ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა მომარაგების ორგანიზაციებმა სათანადოდ ვერ მოამარაგეს სასურსათო საქონლით კოჯრის № 1, № 2, № 3 და № 4 საბავშვო სახლები, ახალციხისა და მიუსერის დამხმარე სკოლა-ინტერნატები, თბილისისა და ინგირის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები და სხვ. დასახელებულ სასწავლო დაწესებულებებს დააკლეს 4833 კგ. კარტოფილი, 9305 კგ. თევზი, 1327 ლიტრი რძე და სხვ.

სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში განსაკუთრებით შეინიშნება კარტოფილის, თევზის, ბოსტნეულის, ახალი ხილის, ახალი რძის, კვერცხის ნაკლებობა.

ზოგჯერ, ინტერნატული ტიპის დაწესებულებები ვერ ითვისებენ კვებისათვის გამოყოფილ თანხებს, ან ადგილი აქვს გადახარჯვებს. ბუნიკაურის დამხმარე სკოლა-ინტერნატმა თითოეულ აღსაზრდელზე ნაცვლად 94 კაპ., დახარჯა 98 კაპ., სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატმა თითოეულ აღსაზრდელზე დახარჯა 85 კაპ., ხოლო მატნის სკოლა-ინტერნატმა 91 კაპ., 94 კაპიკის ნაცვლად და სხვ.

მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ერთი ნაწილი დროულად არ ადგენს განათლების სამინისტროში ცნობებს კვების პროდუქტების ათვისების შესახებ. III კვარტალის კვების პროდუქტების ათვისების შესახებ ცნობები დღემდე არ აქვთ წარმოდგენილი ახალქალა-

ქის, ახალციხის № 2, მარნეულის, ცხაკაიას, ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატებს, ბათუმის, რუსთავის, გეგეჭკორისა და ჩოხატაურის საბავშვო სახლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებს:

ა) სათანადო ყურადღება მიაქციონ სასურსათო პროდუქტების გამოყოფილი ფონდების ათვისებასა და აღსაზრდელებისათვის კუთვნილი ულუფის მიწოდებას;

ბ) უზრუნველყონ აღსაზრდელთა კვებისათვის გამოყოფილი თანხების მთლიანად ათვისება, არ დაუშვან თანხების გადახარჯვის არცერთი შემთხვევა;

გ) კვების პროდუქტების ათვისების შესახებ ცნობები სათანადო განმარტებით წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ყოველი კვარტლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლებისა და საბავშვო სახლების სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანებაში აღნიშნული ინტერნატული დაწესებულებების კვების პროდუქტებით მომარაგებას;

გ) გამოავლინონ და მკაცრად დასაჯონ ის პირები, ვინც ხელს უშლიან სკოლა-ინტერნატებისა, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების კვების ბლოკის ნორმალურ მომარაგებას.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. ვ. მ. თოხაძე), ცეკავშირის გამგეობას „საქკონსერვხილბოსტნის" სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. დ. გ. შარაშიძე) სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების საჭირო რაოდენობის და ასორტიმენტის კვების პროდუქტებით შეუფერხებლად მომარაგება.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) საქართველოს სსრ გაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის შესაბამის სამმართველოებთან ერთად სისტემატურად შეამოწმოს ინტერნატული დაწესებულებების სასურსათო საქონლით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობა, გაუწიოს მათ ამ საქმეში ქმედითი დახმარება;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 18 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 46
ОТ 25 ЯНВАРЯ 1973 ГОДА ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О мероприятиях по капитальному ремонту, содержанию и эксплуатации школьных зданий

Проведенной на местах проверкой установлено, что качество капитального ремонта зданий школ и других учреждений Министерства просвещения Грузинской ССР по ряду школ все еще неудовлетворительно; средства, выделяемые по бюджету на ремонт зданий распыляются и часто направляются ежегодно на ремонт одних и тех же зданий, в то время, как другие длительное время остаются без ремонта, что приводит их к досрочной амортизации; имеет место направление ремонтных средств не назначению и другие.

Текущий ремонт зданий школ своевременно не производится, не используются опыт передовых школ по привлечению учащихся старших классов к производству мелкого и текущего ремонта, уходу за зданием школы для обеспечения сохранности здания на длительное время без капитального ремонта.

Слабо привлекаются подшефные организации к помощи в части проведения капитального ремонта зданий и благоустройства территории.

Заведующие районными (городскими) отделами народного образования и руководители отдельных учреждений просвещения, в особенности директора школ, не уделяют должного внимания этому важному государственному делу, не контролируют качество ремонтных работ, особенно, проводимых на местах ремонтно-строительными конторами Министерство коммунального хозяйства Грузинской ССР.

Кроме того, несмотря на категорическое запрещение производить какие-либо расширение-реконструкции, переделки зданий и пристройки классных комнат без согласования с Министерством просвещения ГССР, таковые все еще имеют место.

Так, по ряду городов и районов Исполкомами местных Советов проведены пристройки классных комнат к существующим зданиям без учета помещений по утвержденному единому заданию, а дирекцией 136-ой общеобразовательной школы была произведена переделка вновь построенного здания с затратой 13,0 тыс. рублей, при чем на производство этой реконструкции не была предварительно составлена необходимая техническая документация; аналогичные случаи установлены также по другим школам республики.

В целях наведения должного государственного порядка в расходовании средств, выделяемых на капитальный ремонт зданий, а также обеспечения сохранности их,

П р и к а з ы в а ю

1 Обязать Министров просвещения Абхазской АССР (тов. Джонуа А. Н.) Аджарской АССР (тов. Цулукидзе В. М.), Заведующего Обл. ОНО Юго-Осетинской А/О (тов. Дзагоева Г. И.) и заведующих районными (городскими) отделами народного образования, руководителей учреждений республиканского подчинения:

а) при распределении средств, выделяемых на капитальный ремонт зданий не допускать их распыления. сосредотачивая таковые на объектах действительные нуждающихся в ремонте с учетом полного его проведения;

б) взять под контроль расходы выделяемые на капитальный ремонт, не допуская оформления приема работ, выполненных с дефектами и недоделками;

в) не допускать никаких реконструкций-расширения существующих зданий, в особенности во вновь построенных по типовым и индивидуальным проектам, а также пристройки классных комнат к зданиям школ без предварительного согласования

техдокументаций с Министерством просвещения Грузинской ССР;

г) при допущении перерасходов и приписок, лиц виновных в этом привлекать к судебной ответственности;

д) систематически проводить разъяснительную работу среди персонала и учащихся о необходимости бережно относиться к зданию школы и ее территории, обеспечивая чистоту и длительную сохранность здания без капитального ремонта;

е) систематически и своевременно производить текущий ремонт здания, привлекать учащихся старших классов к производстту ремонтных работ, используя для этой цели оборудование и инструменты пришкольных мастерских;

ж) обязать директоров школ и других учреждений обеспечить нормальную эксплуатацию и содержания зданий и бесперебойную работу инженерного оборудования;

з) шире использовать помощь подшефных организаций в части производства ремонта зданий и благоустроиства территории (озеленение, устойство бордюров дорожек и т. д,);

к) обеепечить бесперебойную работу инженерного оборудования, в частности отопительной и осветительной системы, канализации и водопровода.

2. Обратить внимание отделов народного образования, директоров школ на имеющиеся факты неудовлетворительного содержания и эксплуатации школьных зданий, построенных за последние годы, в результате чего преждевременно выходят из строя инженерное оборудование и наружные коммуникации.

3. Обязать руководителей учреждений и организаций республиканского подчинения не позже 1-го сентября каждого года, представлять ОКС у Министерства просвещения техническую документацию на производство капитального ремонта зданий иа каждый последующий год.

4. Планово-финансовому управлению (тов. Квачадзе А. Ф.) при утверждении финансовых планов учреждений республиканского подчинения размер ассигнований на капитальный ремонт определять исключительно по утвержденным сметам.

5. Отделу капитального строительства (тов. Учанейшвили С. М.) не допускать систематического проведения капитального

ремонта одного и того же здания и практиковать проведение выборочной проверки капитального ремонта, обратив особое внимание на его качество и предусмотренные объемы.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 18 января 1973 года.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო-დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი

ბ ა ნ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

1973—1974 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შ ე ს ა ხ ებ

1973 წლის 23/25 იანვარი

სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, 1973—1974 სასწ ვლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწ ებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკუ ი კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) 1973—1974 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება რაიონებს (ქალაქებს) და სკოლებს შორის;

ბ) სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის ადგილებზე შექმნან კომისიები და სათანადო კონტროლი გაუწიონ აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობას; შემოწმების შედეგები პერიოდულად განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის რაიონული (საქალაქო) კომიტეტების სხდომებზე;

გ) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების უზრუნველსაყოფად მტკიცე კონტროლი დაუწესონ მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაზე, სრული წესრიგი დაამყარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმეში, არ დაუშვან სწავლებიდან ბავშვების ჩამოშორების არცერთი შემთხვევა, მიაღწიონ პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთა VIII კლასამდე მთლიანად შენარჩუნებას.

ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ სასკოლო ქსელის იმ ვარაუდით გაფორმებისათვის, რომ შეიქმნას საჭირო პირობები საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დასამთავრებლად;

გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის 1973—1974 სასწავლო წლის გეგმის შესასრულებლად;

დ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ სასკოლო, საბავშვო ბაღებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, მიიღონ ზომები თითოეული ობიექტის მშენებლობის დაწესებულ ვადებში დასამთავრებლად, ფართოდ გაშალონ მუშაობა, რათა განხორციელდეს საკლასო ოთახებისა და სპორტული დარბაზების მიშენება;

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით საინიციატივო სასკოლო მშენებლობასა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ფართოდ ჩააბან კოლ-

მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები;

ე) მაღალხარისხოვნად ჩაატარონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, ბაგა-ბაღებისა და საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, სასკოლო ინვენტარის შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა, სასკოლო ბიბლიოთეკების საჭირო ლიტერატურით და კაბინეტ-ლაბორატორიების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით და თვალსაჩინოებით შევსებაღჭურვა. მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 23 ოქტომბრის № 1/1579 ცირკულარული წერილით, რომელიც ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პირველ რიგში, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და ხაზვის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის, გეოგრაფიისა და ასტრონომიის, ლინგოფონური, მშობლიური, რუსული და უცხოური ენების სწავლებისათვის კაბინეტების მოწყობას.

სკოლებსა და ინტერნატულ დაწესებულებებში, საბავშვო-ბაღებსა და ბაგა-ბაღებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და პირობების დაცვის საქმეს;

ვ) გააუმჯობესონ სკოლებში სახელმძღვანელოების, რვეულებისა და სხვა სასწავლო ნივთების შეტანა; მოაწყონ სკოლებში ნახმარი სახელმძღვანელოების შეგროვება;

ზ) იზრუნონ სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელის გაფართოებისათვის; მიიღონ ზომები სასკოლო ინტერნატებში მცხოვრები ბავშვების სწავლის, კვებისა და დასვენებისათვის ნორმალური პირობების შეშესაქმნელად;

თ) უზრუნველყონ მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესება, სასადილოებისა და ბუფეტების ქსელის გაფართოება და მათი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

ი) მიიღონ ზომები ზამთრის სეზონისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ცენტრალური გათბობის სისტემის სრულ წესრიგში მოსაყვანად და სათბობი მასალის მომარაგებისათვის;

კ) მეტი ყურადღება მიაქციონ შენობა-ნაგებობისა და დამხმარე სათავსოების მოვლა-პატრონობას, ცენტრალური გათბობის სისტემის, სანიტარულ-ტექნიკური კვანძების სწორ ექსპლოატაციას და სხვ.;

ლ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, შეუქმნან მასწავლებლებს შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები, უზრუნველყონ ყველა იმ შეღავათის აუცილებლად და დროულად განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია მთავრობის მიერ სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის;

მ) ახალი სასწავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისათვის აღებული ვალდებულებები განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს წარმოუდგინონ ა/წლის 15 მარტისათვის, ხოლო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე დაჯამებული მასალები მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებასთან ერთად—1973 წლის 15 სექტემბრისათვის.

2. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის შეიქმნას კომისია დ. იოსელიანის (თავმჯდომარე), მ. ქოჩაკიძის (თავმჯდომარის მოადგილე), გრ. შენგელიას (მდივანი), გ. აბდუშელიშვილის, ს. არველაძის, რ. კანდელაკის, ალ. კვაჭაძის, ა. ჟორჟოლაძის, თ. ნიკოლაიშვილის, ვ. ჩინჩალაძის, ნ. შველიძის შემადგენლობით.

3. დაევალოს კომისიას (თავმჯდომარე ამხ. დ. იოსელიანი):

ა) პერიოდულად შეამოწმოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის მდგომარეობა და შედეგი მოახსენოს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს;

ბ) სოციალისტური შეჯიბრების შედეგები დააჯამოს და განსახილველად წარმოუდგინოს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს ა/წლის 15 ოქტომბრამდე;

გ) სოციალისტური შეჯიბრების შედეგების დაჯამების დროს მხედველობაში მიიღოს რაიონებისადმი დიფერენცირებული მიდგომა მაღალმთიანი პირობების გათვალისწინებით.

4. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას (ამხ. ნ. შველიძე) სისტემატურად გააშუქოს ახალი სასწავლო წელიწადი სათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და ხხვა საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობის მდგომარეობა.

საქართველოს სსრ განათლების მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი	პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შედეგების შესახებ

ქ. თბილისი, 1973 წლის 23/25 იანვარი

ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და შეფი ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარებამ ხელი შეუწყო მათთვის საჭირო სათავსოების გამოყოფა-გაფართოებას, დგამ-ავეჯითა და ხელსაწყო-იარაღებით შევსება-კეთილმოწყობას.

დათვალიერების პროცესში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა კაბინეტების მოწყობა-შევსებისათვის, შექმნილ იქნა ახალი კონსტრუქციის ხელსაწყო-იარაღები, ბევრ სკოლაში მოეწყო ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები, დაინერგა არსებული ხელსაწყოების გამოყენებისა და მოვლის ჩვევები, ყურადღება გამახვილდა თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღების, მოქმედი მოდელების დამზადება-მოხმარების საკითხებზე.

გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სკოლების მომარაგება სასწავლო-თვალსაჩინო მასალებით, განმტკიცდა მათი სასწავლო-მატერიალური ბაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის 1567 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 1460, ქიმიის კაბინეტი—1280, ბიოლოგიის კაბინეტი 850 სკოლას. კეთილმოწყობილი კაბინეტებით გამოირჩევიან ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ტყიბულის, ამბროლაურის, სამტრედიის, წულუკიძის, გეგეჭკორის და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის სკოლები.

საზოგადოებრივი დათვალიერების პროცესში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა ენერგიული მუშაობით და უშუალო მონაწილეობით კაბინეტები შეივსო ადგილებზე დამზადებული თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღებით და მოქმედი მოდელებით. სკოლებში ერთნაირი დაგროვილი გამოუყენებელი ხელსაწყოები განაწილდა სხვა სკოლებზე, რომელთაც ასეთი არ გააჩნდათ. მაგალითად, სამტრედიის რაიონში (განყოფილების გამგე ამხ. ძნელაძე) რაიონული დამთვალიერებელი კომისიის მიერ სკოლების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ზოგ სკოლებში ხელსაწყო-იარაღების სიჭარბეა, ხოლო ზოგიერთებში კი მისი სრული უქონლობა, რის გამოც მოხდა სკოლებს შორის მათი გადანაწილება. ამჟამად, რაიონის ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში მოწყობილია სასკოლო სახელოსნოები, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები, ბევრ სკოლაში კი მოწყობილია ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიისა და ხელგარჯილობის კაბინეტები.

დათვალიერების პროცესში, წულუკიძის რაიონის (განყოფილების გამგე ამხ. ს. ჭოლოკავა) სკოლებში შეზიდულ იქნა 5600 მანეთის ხელსაწყო-იარაღები და თვალსაჩინო მასალები. გარდა ამისა, სოფ. ივანდიდის, გოჩა-ჯიხაიშის, კუხის, მათხოჯის, ქალაქის მესამე საშუალო სკოლებმა და წულუკიძის საშუალო სკოლა-ინტერნატმა დამხმარე მეურნეობიდან მიღებული თანხებით შეიძინეს ხელსაწყოები, რეაქტივები და ტელევიზორები.

მიუხედავად ამისა, სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების პროცესში გამოვლინდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები, რაც სკოლებში ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი სათავსოები კაბინეტებისათვის, ზოგან კი ეს ოთახები შეუფერებელია ამ მიზნისათვის. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის 109 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი გააჩნია 40 სკოლას, ქიმიის კაბინეტი—29-ს, ხოლო ბიოლოგიის კაბინეტი 10 სკოლას; აჭარის ასს რესპუბლიკის 114 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბი-

ნეტი აქვს 95 სკოლას, ქიმიის კაბინეტი—30-ს, ბიოლოგიის კაბინეტი 47 სკოლას; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 55 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 26 სკოლას, ქიმიის კაბინეტი—20-ს, ხოლო ბიოლოგიის კაბინეტი 2 სკოლას; ბოგდანოვკის რაიონის 17 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 5-ს, ქიმიის კაბინეტი მხოლოდ 1-ს, ხოლო ბიოლოგიის კაბინეტი ასევე 1 სკოლას. გარდაბნის რაიონის 24 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 4-ს, ხოლო ქიმიის კაბინეტი—2-ს, ბიოლოგიის კაბინეტი 3 სკოლას.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შედეგებზე არ წარმოუდგენიათ ნაკრები ანგარიშები ვანის, ყაზბეგის, მარნეულის, მესტიის, ორჯონიკიძის, თიანეთისა და წალკის რაიონებს. ლენტეხის, მცხეთის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს, წითელწყაროსა და დუშეთის რაიონებმა ძალზე დაგვიანებით, 1972 წლის 15 დეკემბრის შემდეგ წარმოადგინეს ნაკრები ანგარიშები.

რესპუბლიკის სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შედეგად გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ

1. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა:

ა) სრულ წესრიგში იქონიონ კაბინეტები, იზრუნონ მათი გეგმიანად შევსებისათვის, ზუსტად დაიცვან კაბინეტის მოვლისა და ხელსაწყო-იარაღების შენახვის წესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადების საქმეს, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ როგორც სკოლის სასწავლო სახელოსნოები, ასევე ფიზიკა-ტექნიკის წრეები;

ბ) პროგრამული მასალის შესწავლასთან დაკავშირებით, აწარმოონ საწარმოო-პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნა, გაკვეთილებზე მეტი ადგილი დაუთმონ გამოყენებითი და ექსპერიმენტული ტიპის ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სასწავლო კაბინეტებში მტკიცედ დაიცვან მოწავლეთა უსაფრთხო მუშაობის წესები, არ დაუშვან მოსწავლეები პრაქტიკულ სამუშაოებზე სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარების გარეშე, მოაწყონ პირველი დახმარების აღმოსაჩენად აფთიაქი.

2. საშუალო და რვაწლიანი სკოლის დირექტორებმა:

ა) მიიღონ საჭირო ზომები ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტებისათვის ოთახების გამოყოფისათვის, უზრუნველყონ ეს კაბინეტები აუცილებელი დგამ-ავეჯით, მოაწყონ ელექტროგაყვანილობა და დაბნელება, სისტემატურად აწარმოონ კაბინეტების საჭირო ხელსაწყოებით, მოდელებით, სასწავლო პლაკატებით, სქემებითა და სხვა მასალებით შევსება;

ბ) ლაბორანტის თანამდებობაზე შეარჩიონ შესაფერი განათლების მქონე მუშაკი და უზრუნველყონ მისი ნორმალური დატვირთვა კაბინეტების მოვლა-დაცვისა და გამოყენების საქმეში;

გ) სისტემატურად შეამოწმონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ უკავშირებენ მასწავლებლები სწავლებას პრაქტიკულ საქმიანობას, რამდენად იყენებენ ხელსაწყო-იარაღებს სწავლებაში, ტარდება თუ არა პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდები, პრაქტიკუმები და ფრონტალური ხასიათის ლაბორატორიული სამუშაოები.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობის, შევსებისა და სასწავლო მუშაობაში მათი სისტემატურად გამოყენების საქმეს;

ბ) განიხილონ აღნიშნული დადგენილება კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების უახლოეს სხდომებზე და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისა და კაბინეტების მუშაობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

გ) ვანის, ყაზბეგის, მარნეულის, მესტიის, ორჯონიკიძის, თიანეთისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, პროფკავშირის შესაბამისმა კომიტეტებმა 1973 წლის 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლამდე წარმოადგინონ დაჯამებული მასალები ფიზიკისა, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგებზე.

4. განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიამ და მისმა ფილიალებმა შემოზიდონ რესპუბლიკაში ყველა საჭირო სახის ხელსაწყო-იარაღები; აღკვეთონ სკოლებში ერთგვარი ხელსაწყოების ზედმეტი რაოდენობით მომარაგების პრაქტიკა, უზრუნველყონ სკოლები პრაქტიკუმებისა და ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყოებით.

5. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების მაღალ დონეზე ჩატარებისა და კაბინეტების სანიმუშოდ მოწყობისათვის დაჯილდოვდნენ:

ა) ფულადი პრემიით:

პირველი ადგილისათვის (500 მანეთი)

ქ. ფოთის პირველი საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე თ. ჭოჭუა)

მეორე ადგილისათვის (300 მანეთი)

ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე ლ. ჯაშიაშვილი)

მესამე ადგილისათვის (200 მანეთი)

გეგეჭკორის რაიონის სოფ. ლეხაინდრაოს ბიოლოგიის კაბინეტი (გამგე პ. დანელია).

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით:

1. ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე შ. აბაიშვილი),

2. ქ. თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე ი. მეგრელიძე),

3. ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე ე. ხრიმიანი),

4. ქ. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე შ. მამაიშვილი),

5. ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე ჯ. კიკნაძე),

6. ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტი (ო. ბერაძე),

7. ქ. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტი (გამგე ლ. მუშკუდიანი),

8. ქ. თბილისის 43-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე ო. ბორდერიუსი),

9. ქ. თბილისის 54-ე საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე თ. ნაცვლიშვილი),

10. ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის ფიზიკისა და ხის მხატვრული დამუშავების კაბინეტი (გამგე ა. კალანდაძე),

11. ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტი (გამგე ლ. სულაბერიძე),

12. ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე მ. ჭანტურიშვილი),

13. ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე ბ. გუნიავა),

14. ქ. თბილისის 66-ე საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე ნ. არაქელაშვილი),

15. ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე ლ. ჯავახიძე),

16. ქ. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე ა. ასათიანი),

17. ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე თ. კაპანაძე),

18. ქ. ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე რ. ლომთათიძე),

19. ქ. ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე მ. მანგალაძე),

20. ახალციხის რაიონის სოფ. ვალეს საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე მ. კაკაჩაშვილი),

21. ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტი (გამგე ნ. კუნდუხაშვილი),

22. ახალციხის მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე ნ. გრამატიკოპულო),

23. საჩხერის რაიონის სოფელ არგვითის საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტი (გამგე ქ. ვახანია),

24. ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე ლ. მაქაცარია);

25. წალენჯიხის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე ო. მესხია),

26. ხაშურის მესამე საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე მ. ღებრიშვილი),

27. ხაშურის რაიონის სურამის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი (გამგე გ. ტაბატაძე).

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 31 იანვრის ბრძანება № 52

1971—1972 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა და სკოლების ხელმძღვანელებმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გააძლიერეს კონტროლი და დახმარება მასწავლებლებისადმი, გაატარეს საჭირო ზომები სწავლებაში ფორმალიზმის აღმოფხვრის და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის დაძლევის საქმეში, რის შედეგად 1971—1972 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა, განსაკუთრებით ოქროს მედლითა და სიგელით დაჯილდოებულებმა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების უფრო მტკიცე ცოდნა გამოამჟღავნეს, ვიდრე წინა წლებში.

უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლების სამივე ფორმაზე გამოცდაზე გავიდა 50.649 აბიტურიენტი, ყველა საგანში ჩააბარა 16.840-მა, ჩაირიცხა კი 13.086. დღის განყოფილებაზე ჩაირიცხა—7.838, საღამოზე—2.817, დაუსწრებელზე—2.431 აბიტურიენტი. წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 1971—1972 სასწავლო წელს საშუალო სკოლის 9.390 კურსდამთავრებული, მათ შორის 165-მა ოქროს მედალოსანმა „5"-ზე ჩააბარა მაპროფილებელი საგნები, ხოლო 67 ჩაირიცხა კონკურსის შედეგად.

წარმატებას მიაღწიეს ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ვ. მელაძე), 42-ე (დირექტორი ო. ღალანიძე), 55-ე (დირექტორი ო. ლომიძე), 77-ე (დირექტორი გ. კობახიძე), 43-ე (დირექტორი ლ. შეწირული), ქ. ქუთაისის მე-3 (დირექტორი თ. დახუნდარიძე), 25-ე (დირექტორი ლ. კაკაბაძე),

მე-9 (დირექტორი დ. ბრეგაძე), მე-8 (დირექტორი ა. ს ნდუხაძე), მე-16 (დირექტორი ა. ჟორჟოლიანი), ქ. რუსთავის მე-10 (დირექტორი ლ. ლორთქიფანიძე), ქ. გორის მე-11 (დირექტორი ს. ხუცუბიძე), ქ. ზუგდიდის 1-ლი (დირექტორი შ. ხუბულავა), მე-9 (დირექტორი ო. მიქენია), ვ. მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის (დირექტორი ვ. ჩინჩალაძე) და სხვა სკოლების კურსდამთავრებულებმა.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის სკოლების დიდი ნაწილის მასწავლებელთა კოლექტივები ვერ ახერხებენ სათანადო დონეზე წარმართონ მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება და კურსდამთავრებულებს მისცენ მკვიდრი ცოდნა დაწესებული პროგრამების ფარგლებში.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა ნაშრომების შესწავლა-გადასინჯვამ ცხადყო, რომ კურსდამთავრებულები საკმაო მომზადებას ვერ იჩენენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათში გამომუშავებული არ არის სწორი წერის ჩვევები, ლიტერატურული ნაწარმოების დედაარსსა და დანიშნულებაში გარკვევის უნარი, სუსტად იციან მხატვრული ნაწარმოების შინაარსი, უშვებენ უამრავ ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ, სინტაქსურ, სტილისტურ შეცდომას, გვხვდება აგრეთვე ფაქტობრივი შეცდომები, ახრობრივი უსწორობანი, ზედმეტი ციტატები, ზოგადი მსჯელობანი.

სოფლის სკოლების კურსდამთავრებულების საგრძნობმა ნაწილმა ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს რუსულ ენასა და ლიტერატურაში, რაც მეტისმეტად დამაფიქრებელია და საგანგებო შესწავლასა და საჭირო ზომების განხორციელებას მოითხოვს.

მათემატიკის წერითი ნამუშევრების შემოწმება ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა არ იცის მოქმედებები ათწილადებზე, როგორ იცვლება მოქმედებათა შედეგები კომპონენტების ცვლილებასთან დაკავშირებით, ვერ ადგენენ სხვა და სხვა ნიშნიანი რიცხვების განაყოფის ნიშანს, ვერ ხსნიან უმარტივეს ტრიგონომეტრიულ განტოლებას, ვერ ადგენენ ტრიგონომეტრიულ იგივეობაში შემავალი არგუმენტის დასაშვებ მნიშვნელობებს, არ იციან ნამრავლის, წილადის და ხარისხის ლოგარითმების ფორმულების გამოყვანა, მაჩვენებლიანი და ლოგარითმული ფუნქციების თვისებები და გრაფიკები, მრავალწევრებისა და მრგვალი სხეულების სრული ზედაპირის ფართობებისა და მოცულობების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსათვლელი ფორმულების გამოყვანა, ტრიგონომეტრიული ფუნქციების გამოსახვა და სხვ.

მსგავსი ნაკლოვანებები ვლინდება ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის წერითი ნამუშევრების ანალიზისას. კურსდამთავრებულებს არა აქვთ ამ საგნების პროგრამული კურსის მკვიდრი ცოდნა, უჭირთ ამოცანების ამოხსნა.

ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში გამოცდების შედეგები გვიჩვენებს, რომ ამ საგნების სწავლება სუსტად არის დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, კურსდამთავრებულები ვერ ერკვევიან ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზ შედეგობრივ კავშირში, ვერ ახერხებენ კონკრეტულად დაახასიათონ ამა თუ იმ ეპოქაში ქვეყნის განვითარების მამოძრავებელი თუ ხელშემშლელი ძალები და ა. შ.

კურსდამთავრებულებს უცხოურ ენებში არა აქვთ სიტყვათა საჭირო მარაგი, გრამატიკული წესების ცოდნა, უჭირთ მარტივი ფრაზის შედგენა, რაც აიხსნება იმით, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს პრაქტიკული მიმართულება მისცეს ენის სწავლებას, სისტემატურად ავარჯიშოს ბავშვები ზეპირმეტყველებაში.

მიუხედავად დასახელებული და სხვა საგნების სწავლების ასეთი დაბალი დონისა, მრავალ სკოლაში იწერება გაუმართლებლად მაღალი ნიშნები, რაც ობიექტურად არ ასახავს მოსწავლეთა ცოდნას არსებული პროგრამის ფარგლებში.

სკოლებში კვლავ ფესვგადგმულია ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში. მასწავლებლები სკოლის ხელმძღვანელობისა და მშობლების წინაშე თავის გამართლების მიზნით და ხშირად მათი ზეგავლენით მრავლად წერენ გაუმართლებელ ნიშნებს. არაიშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა მასწავლებლები თვითონ უწყობენ ხელს მოსწავლეებს მზამზარეული ტექსტებიდან დავალებათა გადაწერაში, რაც ძირშივე ჰკვეთს მოსწავლეთა მსწრაფებას საფუძვლიანი დამოუკიდებელი მუშაობისადმი. ამით განპირობებულია ის, რომ ატესტატებში „5"-ზე და „4"-ზე შეფასებული მოსწავლეების მნიშვნელოვანი რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე იჭრება.

ქ. თბილისის 132-ე საშუალო სკოლიდან (ყოფილი დირექტორი გ. ძნელაძე, მასწავლებლები ვ. გუჯაბიძე და ხ. ხუნდაძე) უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფი-

ლებელი შეფასება მიიღო 36 კურსდამთავრებულმა (მათ შორის ხუთოსანი—3, ოთხოსანი—16), 30-ე სკოლიდან (დირექტორი ო. პატარაია, მასწ. ლ. გოგიბერიძე)—13-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—6), მე-4 სკოლიდან (დირექტორი ა. ქურიძე, მასწ. ა. ზურაბაშვილი)—33-მა (მათ შორის ხუთოსანი—1, ოთხოსანი—9), 26-ე სკოლიდან (ყოფილი დირექტორი გ. ხომერიკი, მასწ. ბ. ფურცელაძე. დ. კილასონია, ნ. ღვინიაშვილი)—17-მა (მათ შორის ხუთოსანი—4, ოთხოსანი—7), 1-ლი სკოლიდან (დირექტორი ნ. კიკვაძე, მასწ. ც. შოშიაშვილი, ე. ქუთათელაძე)—27-მა (მათ შორის ხუთოსანი—3, ოთხოსანი—11), 53-ე სკოლიდან (დირექტორი ლ. მარგველაშვილი, მასწავლებელი მ. სიჭინავა)—25-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—10), 62-ე სკოლიდან (დირექტორი და მასწავლებელი გ. ონიანი, მასწ. ვ. კიტოვანი)—33-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—15), 102-ე სკოლიდან (დირექტორი ც. კიკნაძე, მასწ. ი. რამიშვილი, ნ. რაფავა)—22-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—5), 24-ე სკოლიდან (დირექტორი ა. მეტრეველი, მასწ. კ. კუჭავა და გ. მიქაძე)—23-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—9), ბორჯომის 1-ლი სკოლიდან (დირექტორი ა. შაყულაშვილი, მასწ. ზ. ქურდაძე)—11-მა (მათ შორის ხუთოსანი—1, ოთხოსანი—4), წაღვერის სკოლიდან (დირექტორი მ. ხუციშვილი, მასწავლებელი ბ. მაისურაძე, ნ. ჭელიძე)—10-მა (მათ შორის ხუთოსანი—3, ოთხოსანი—2), თიანეთის სკოლიდან (დირექტორი გ. ჭელოშვილი, მასწ. მასწ. ს. იმერლიშვილი, ლ. ღვინიაშვილი, შ. ბადურაშვილი, თ. მთვარელიშვილი, მ. ობგაიძე, რ. იარაჯული) 15-მა (მათ შორის ხუთოსანი—8, ოთხოსანი—4); კასპის რაიონის ზემო ხანდაკის სკოლიდან (დირექტორი ვ. სამხარაძე, მასწ. მასწ. ნ. დემეტრაშვილი, მ. ჯავახიშვილი) 9-მ (მათ შორის ხუთოსანი—3, ოთხოსანი—4), მუხოანის მე-2 სკოლიდან (დირექტორი რ. ჩეკურიშვილი, მასწავლებელი ნ. ოსტიაშვილი) 9-მ (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—3), ორჯონიკიძის მე-2 სკოლიდან (დირექტორი ვ. ლეჟავა) 7-მა (მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანი—1, ოთხოსანი—4), გლდანის სკოლიდან (დირექტორი პ. ქავთარაშვილი, მასწ. ე. მოშიაშვილი)—9-მ (მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანი—2, ოთხოსანი—4), დიდი ლილოს სკოლიდან (დირექტორი ა. ქარცივაძე, მასწ. ლ. ფურცელაძე) 2-მა ხუთოსანმა; მარტყოფის სკოლიდან (დირექტორი ა. ნატროშვილი, მასწ. ე. ლეკიშვილი)—7-მა (მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანი

—2), წულუკიძის მე-3 სკოლიდან (დირექტორი ა. ძიძავა, მასწ. ლ. ღოლობერიძე და თ. ჭოლოკავა)—7-მა (მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანი—2, ოთხოსანი—4), წულუკიძის 1-ლი სკოლიდან (მასწ. ო. ხაჭაპურიძე, ს. ჩარგეიშვილი)—9-მ (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—4), კუხის სკოლიდან (დირექტორა ო. ყურაშვილი, მასწ. რ. კაკაბაძე)—3-მა (მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანი—1 და ოთხოსანი—2), ლანჩხუთის მე-3 სკოლიდან (დირექტორი და მასწავლებელი ი. მიქანაძე, მასწ. მ. მდინარაძე)—2-მა ხუთოსანმა, ლენტეხის სკოლიდან (დირექტორი პ. ხვისტანი. მასწ. მ. ონიანი)—12-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—4), ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის სკოლიდან (დირექტორი ი. მიქაძე, მასწ. მასწ. მ. ქავთარაძე, ა. ჯანჯღავა)—5-მა ხუთოსანმა, ცხაკაიას მე-2 სკოლიდან (დირექტორი ნ. გუგუნავა, მასწ. ნ. ბობოხიძე) 8-მ (მათ შორის ხუთოსანი—1, ოთხოსანი—4), ცხაკაიას მე-3 სკოლიდან (დირექტორი ვ. განგია)—5-მა (მათ შორის ხუთოსანი—1, ოთხოსანი—3), ქ. გორის მე-4 სკოლიდან (დირექტორი და მასწავლებელი ვ. გიგია)—18-მა (მათ შორის ხუთოსანი—2 ოთხოსანი—8), ძახარაძის 1-ლი სკოლიდან (დირექტორი ნ. შუბლაძე, მასწ ვ. მოისწრაფიშვილი) 22-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—10), ვანის რაიონის სულორის სკოლიდან (დირექტორი შ. დვალიშვილი, მასწ. ვ. მჟავანაძე, ც. ციკურაძე)—10-მა მათ შორის ხუთოსანი—6, ოთხოსანი—3), ისრითის სკოლიდან (დირექტორი და მასწავლებელი ბ. მაღლაკელიძე)—3-მა ხუთოსანმა (მათ შორის ორმა ყველა საკანში ხუთოსანმა). შუამთის სკოლიდან (დირექტორი ს. ფა ცხალაძე. მასწ. მ. ბრეგვაძე)—8-მ (მათ შორის ხუთოსანი—3, ოთხოსანი—3), სიღნაღის რაიონის ბოდბეს სკოლიდან (დირექტორი ვ. ხუციშვილი, მასწ. მ. ბოქოლიშვილი)—13 მა მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—3), ანაგის სკოლიდან (დირექტორი შ. მჭედლიშვილი, მასწ მასწ. ე. შოშიაშვილი, ი. ანდრაზანაშვილი)—9-მ (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—3), ვაქირის (დირექტორი ქ. ვარაზაშვილი, მასწ. ე. ბაზერაშვილი)—(მათ შორის ხუთოსანი—1, ოთხოსანი—2), ქ. გურჯაანის სკოლიდან (დირექტორი ვ. დოლენჯიშვილი, მასწ. მასწ. ჭაჭუკაშვილი, თ. იმერლიშვილი, ე. გორხელაშვილი) 23-მა (მათ შორის ხუთოსანი—3, ოთხოსანი—6), ველისციხის სკოლიდან (დირექტორი ი. ქიტოშვილი, მასწ. მასწ. ა. მიტიჩაშვილი, ნ. ყვავიაშვილი, ნ. ქიტუაშვილი)—29-მ (მათ შორის ხუთოსანი—3, ოთხოსანი—

13), ვაზისუბნის სკოლიდან (დირექტორი ი. სავაძე, მასწ. მ. ციაშვილი, კ. შანშიაშვილი)—32-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—10), ჩუმლაყის სკოლიდან (დირექტორის მოადგილე ა. მამათელაშვილი)—28-მ, ქ. თელავის მე-4 სკოლიდან (დირექტორი ვ. მდივნიშვილი, მასწ. მ. ლეკიშვილი)—30-მა (მათ შორის ხუთოსანი—3, ოთხოსანი—8), თელავის მე-2 სკოლიდან (მასწ. ნ. მოხიტაშვილი)—32-მა (მათ შორის ხუთოსანი—1, ოთხოსანი—5), აკურის სკოლიდან (დირექტორი ქ. ჭურღულაშვილი, მასწ. რ. აზნიაშვილი, ნ. ტერნუნაშვილი)—12 მა (მათ შორის ხუთოსანი—3, ოთხოსანი—2), ვანთის სკოლიდან (დირექტორი ნ. კირვალიძე, მასწ. თ. არსენიშვილი, თ. გომურაშვილი)—12-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—6), ყვარლის რაიონის შილდის 1-ლი სკოლიდან (დირექტორი თ. თევდორაშვილი, მასწ. მ. გოგიტაშვილი)—17-მა (მათ შორის ხუთოსანი—6 აქედან ყველა საგანში ხუთოსანი—2, ოთხოსანი—8), ასპინძის სკოლიდან (ყოფილი დირექტორი და მასწ. ნ. დიასამიძე)—12-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—6), ლაგოდეხის სკოლიდან (დირექტორი კ. ქებაძე, მასწ. ნ. შაბაზოვი)—14-ძა (მათ შორის ხუთოსანი—1, ოთხოსანი—9), ლელიანის სკოლიდან (დირექტორი ა. კაპანაძე, მასწ. გ. კობერიძე)—12-მა (მათ შორის ხუთოსანი—2, ოთხოსანი—6).

1971—1972 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულმა ოქროს მედალოსნებმა დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქ. თბილისის 52-ე სკოლიდან (დირექტორი ც. შარია), ქ. თბილისის 35-ე სკოლიდან (დირექტორი ე. ნემსიწვერიძე), ხელვაჩაურის რაიონის ურეხის სკოლიდან (დირექტორი ა. გოგილაშვილი), ქ. გორის 1-ლი სკოლიდან (დირექტორი ვ. ჩიკოიძე), ვანის რაიონის შუამთის სკოლიდან (დირექტორი ს. ფარცხალაძე) ქიმიაში, ცხინვალის მე-4 სკოლიდან (დირექტორი მ. გაგლოშვილი—ბიოლოგიაში.

წინა წლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ მედალოსანთაგან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე რამდენიმეჯერ არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს ლ. მ. ღირსიაშვილმა (გურჯაანის რაიონის კარდანახის სკოლა), მ ა. გაბედავამ (ჩხოროწყუს რაიონი, მუხურის სკოლა), მ. ა. ჭაბუკიანმა (ქ. ქუთაისის მე-18 სკოლა), ლ. კ ლომაიამ (ზუგდიდის რაიონის ნარაზენის სკოლა), ლ. ვ. გელაშვილმა (ქ. თბილისის მე-15 სკო-

ლა) მ. ხახონაიძემ (თელავის მე-3 სკოლა), ვ. მ. თულაძემ (ბ. ...ის მე-3 სკოლა), ვ. ვ. ავალიანმა (ქ. ბათუმის მე-14 სკოლა), ც. გ. საჯაიამ (ჩხოროწყუს რაიონის ახუთის სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის სკოლები, რომელთა კურსდამთავრებულმა ხუთოსანმა მოსწავლეებმა წინა წლებშიაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს. ასეთი სკოლებია: ქ. თბილისის მე-4, 62-ე, 24-ე, 1-ლი, ველისციხის, შილდის, სულორის, ძველი სენაკის, თელავის მე-4 და ა. შ.

ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს საგამოცდო დოკუმენტების გაფორმების საქმეში სერიოზულ დამახინჯებებს. თელავის რაიონის კონდოლის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ფეიქრიშვილი) საგამოცდო ოქმებში მოსწავლეთა გვარები შემოკლებით არის ჩაწერილი, ერთი და იგივე მოსწავლის სახელი სხვადასხვანაირად არის შეტანილი ოქმში. ადგილი აქვს ნიშნების გადასწორების და ატესტატში ხელოვნურად აწეული ნიშნების შეტანის შემთხვევებს. ხაშურის მე-4, ღელისის, ვანის რაიონის ამაღლების საშუალო სკოლების საშემოდგომო გამოცდების ატესტატები გაიტანეს განათლების სამინისტროდან მხოლოდ 1973 წლის იანვარში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

ა) აღნიშნული ბრძანება განიხილონ ასსრ განათლების სამინისტროების, ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლებისა და ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების დონის მკვეთრად ასამაღლებლად;

ბ) შექმნან სკოლებში ყველა საიმისო პირობა, რომ ყოველი მასწავლებელი გულმოდგინედ მუშაობდეს თავის თავზე, საფუძვლიანად იცნობდეს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, ეცნობოდეს ყოველ მნიშვნელოვან სიახლეს საკუთარ სპეციალობაში, კარგად იყოს გარკვეული ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, პოლიტი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კური და კულტურული განვითარების საქმესა და საერთაშორისო მოვლენებში;

გ) განამტკიცონ სკოლის მუშაკებში იმის შეგნება, რომ პროგრამის სრული და მაღალხარისხოვნად ათვისება მთლიანად დამოკიდებულია გაკვეთილის მაღალიდეურ-მეცნიერულ დონეზე და ამ საფუძველზე აღკვეთონ რეპეტიტორობა, როგორც სკოლის სახელის გამტეხი მავნე მოვლენა, საჭიროების შემთხვევაში აღადგინონ თავის უფლებებში მოსწავლეებთან მასწავლებლების დამატებითი მუშაობის პრაქტიკა;

დ) თანმიმდევრული და მკაცრი ბრძოლა გამოუცხადონ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმს, გადაჭრით აამაღლონ აკადემიური წარმატების შეფასების ნიშნის—„3"-ის როლი და ღირსება, გაატარონ ქმედითი ღონისძიებები „4"-ისა და „5"-ის გაუფასურებისა და, საერთოდ, წარმატების შეფასების საქმეში თვალისახვევის ჯერ კიდევ შემორჩენილი მავნე პრაქტიკის წინააღმდეგ;

ე) დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დედაენისა და ლიტერატურის სწავლების გასაუმჯობესებლად, მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეები დაეუფლონ სწორი წერისა და ზეპირმეტყველების ჩვევებს, ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსს, სწორად ერკვეოდნენ მათ დედააზრსა და იდეურ მიმართულებაში;

ვ) საგანგებო ყურადღება დაუთმონ რუსული ენის სწავლებას ქართულსა და სხვა არარუსულ სკოლებში;

ზ) მიაღწიონ იმას, რომ მათემატიკის მასწავლებლები ბეჯითად და სისტემატურად მუშაობდნენ თავის თავზე, უნარიანად და თანმიმდევრულად აწარმოებდნენ ვარჯიშს ამოცანებსა და მაგალითებზე, მოსწავლეებს აძლევდნენ საფუძვლიან და მკვიდრ ცოდნას;

თ) ბუნებათმეცნიერული საგნების—ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სწავლებისას ყურადღების ცენტრში დააყენონ თეორიული დებულებების მჭიდროდ დაკავშირება პრაქტიკულ საქმიანობასთან—ცდებთან, ვარჯიშებთან, ლაბორატორიულ მუშაობასთან, სასკოლო მიწის ნაკვეთზე საცდელ მუშაობასთან;

ი) ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და გეოგრაფიის სწავლებისას, ფაქტების ცოდნასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ შესწავლილი მასალის თანადროულობასთან ორგანულად დაკავშირებას, საზოგადოებრივ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა და ურთიერთობის სწორად გარკვევას,

მოსწავლეებში შესწავლილი მასალის სწორად გაანალიზებისა და განზოგადების უნარის გამომუშავებას, ისტორიული მოვლენებისა და გეოგრაფიული ფაქტორების როლისა და ადგილის სწორად განსაზღვრას, მწყობრი მეცნიერული თვალსაზრისის ჩამოყალიბებას;

კ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ ამ ბრძანებაში დასახელებულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და თუ სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები არსებითად არ გარდაქმნიან მუშაობას და ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთათვის სასწავლო დისციპლინებში სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ცოდნის მიცემას, გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობიდან.

2. საშუალო სკოლების დირექტორებს: შ. დვალიშვილს (ვანის რაიონის სულორის), ი. ქიტოშვილს (გურჯაანის რ-ნის, ველისციხის), თ. თევდორაშვილს (ყვარლის რაიონის შილდის 1-ლი), ვ. მდივნიშვილს (თელავის მე-4), ი. მიქაძეს (ძველი სენაკის), რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს კურსდამთავრებულთა მომზადება დაწესებული პროგრამის ფარგლებში და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დაუშვეს ლიბერალიზმი, გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის საშუალო სკოლების დირექტორებს გ. ხომერიკს (თბილისის 26-ე სკოლის ყოფილი დირექტორი), გ. ჭრელოშვილს (თიანეთის), მ. ხუციშვილს (წაღვერის), ე. სამხარაძეს (კასპის რაიონის ზემო ხანდაკის), პ. ქავთარაშვილს (გლდანის), ა. ძიძავას (წულუკიძის მე-3), ვ. გიგიას (ქ. გორის მე-4), ნ. შუბლაძეს (მახარაძის 1-ლი), ბ. მაღლაკელიძეს (ვანის რაიონის ისრითის), ს. ფარცხალაძეს (ვანის რაიონის შუამთის), ი. მიქანაძეს (ლანჩხუთის მე-3), ვ. გიგიას (ქ. გორის მე-4), პ. ხვისტანს (ლენტეხის), ვ. ხუციშვილს (სიღნაღის რაიონის ბოდბის), შ. მჭედლიშვილს (ანაგის), ვ. დოლენჯიშვილს (ქ. გურჯაანის), ი. სავაძეს (ვაზისუბნის), ა. მამათელაშვილს (ჩუმლაყის), ქ. ჭურღულაშვილს (თელავის რაიონის აკურის), ა. კაპანაძეს (ლაგოდეხის რაიონის ლელიანის) გამოეცხადოთ საყვედური.

4. მასწავლებელთა მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის საშუალო სკოლის დირექტორებს: ნ. კოკაძეს (ქ. თბილისის 1-ლი), ლ. მარგველაშვილს (53-ე), გ. ონიანს (62-ე), ც. კიკნაძეს (102-ე), ა. ქურდაძეს (მე-4), ო. პატარაიას (30-ე), უ. მეტრეველს (24-ე), რ. ჩეკურიშვილს (მუხრანის მე-2), ა. ქარცივაძეს (დიდი ლილოს), ა. ნატროშვილს (მარტყოფის), ო. ყურაშვილს (წულუკიძის რაიონის კუხის), ქ. ვარაზანაშვილს (ვაქირის), ნ. კირვალიძეს (თელავის რაიონის ვანთის), შ. შაყულაშვილს (ბორჯომის 1-ლი) მიეთითოთ.

5. საგნის სუსტად სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის საშუალო სკოლის მასწავლებლებს მ. ქავთარაძეს, ა. ჯანჯღავას (ძველი სენაკი), ც. ნიკურაძეს, ვ. მეავანაძეს (ვანის რაიონის სულორის), ა. მიტიჩაშვილს, ნ. ყვავიაშვილს, ნ. ქიტოშვილს (ველისციხის), გ. ლეკიშვილს (თელავის მე-4), მ. გოგიტაშვილს (შილდის) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

6. საგნის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის არაობიექტურად შეფასებისათვის საშუალო სკოლის მასწავლებლებს: ს. ხუნდაძეს (ქ. თბილისის 132-ე), ბ. ფურცელაძეს, ნ. ღვინიაშვილს, ნ. კილასონიას (26-ე), ბ. მაისურაძეს, ნ. ჭელიძეს (წაღვერის), ს. იმერლიშვილს, ლ. ღვინიაშვილს, შ. ბადურაშვილს, თ. მთვარელიშვილს, მ. ობგაიძეს, რ. იარაჯულს (თიანეთის), ნ. დემეტრაშვილს, მ. ჯავახიშვილს (ზემოხანდაკის), ე. მოშიაშვილს (გლდანის), ლ. ღოღობერიძეს, თ. ჭოლოკავას (წულუკიძის მე-3), ს. ჩარგეიშვილს, ო. ხაჭაპურიძეს (წულუკიძის 1-ლი), ვ. მოისწრაფიშვილს (მახარაძის 1-ლი, ი. მიქანაძეს, მ. მდინარაძეს (ლანჩხუთის მე-3), მ. ონიანს (ლენტეხის), ბ. მაღლაკელიძეს (სულორის), მ. ბრეგვაძეს (შუამთის), ბოქოლიშვილს (ბოდბის), ე. შოშიაშვილს, ი. ანდრაზანაშვილს (ანაგის), მ. ჭაჭუკაშვილს, თ. იმერლიშვილს, ე. გორხელაშვილს (გურჯაანის), მ. ბაციაშვილს, ა. შანშიაშვილს (ვაზისუბნის), ნ. მოხიტაშვილს (თელავის მე-2), რ. აზნიაშვილს ნ. ტერინაშვილს (ბაკურის), გ. კობერიძეს (ლელიანის) გამოეცხადოთ საყვედური.

7. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის მასწავლებლებს ლ. გოგიბერიძეს (ქ. თბილისის 30-ე), ვ. გუჯაბიძეს (132-ე), ა. ზურაბაშვილს (მე-4), ც. შოშიაშვილს, ე. ქუთათელაძეს (1-ლი), მ. სიჭინავას (53-ე), ვ. კიტოვანს (62-ე), ი. რამიშვილს, ნ. რაფა-

ვას (102-ე), კ. კუჭავას, გ. მიქაძეს (24-ე), ზ. ქურდაძეს (ბორჯომის 1-ლი), ხ. როსტიაშვილს (მუხრანის მე-2), ლ. ფურცელაძეს (დიდი ლილო), ე. ლეკიშვილს (მარტყოფის), თ. არსენიშვილს, თ. გომურაშვილს (ვანთის) მიეთითოთ.

8. კურსდამთავრებულთა ნიშნების გადასწორებისა და ატესტატში ხელოვნურად აწეული ნიშნების შეტანისათვის თელავის რაიონის კონდოლის საშუალო სკოლის დირექტორის ა. ფეიქრიშვილის საკითხი განხილულ იქნეს კოლეგიის უახლოეს სხდომაზე.

9. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობისა და ასპინძის რაიონული კომიტეტის მიერ ქ. თბილისის 132-ე საშუალო სკოლის დირექტორი გ. ძნელაძე და ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. დიასამიძე განთავისუფლებულნი არიან დირექტორის თანამდებობიდან.

10. სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და სკოლებში მოსწავლეთა შეფასების საქმეში ლიბერალიზმის დაშვებისათვის ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. ხარძეიშვილი, ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების გამგე კ. შარტავა, გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. თოდაშვილი, თელავის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. თვალიაშვილი მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი.

11. სკოლების სამმართველომ მიმდინარე სასწავლო წლის დამლევამდე შეამოწმოს მუშაობა და ჩააბაროს საკონტროლო წერები ვანის რაიონის სულორის, ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის, თელავის მე-4, გურჯაანის რაიონის ველისციხისა და ყვარლის რაიონის შილდის 1-ლ სკოლებში და შედეგები მომახსენოს.

12. გაუქმდეს შესაბ. მისი სკოლების პედაგოგიური საბჭოების დადგენილება შ. ა. გაბედავას (ჩხოროწყუს რაიონის მუხურის), მ. ა. ჭაბუკიანის (ქ. ქუთაისის მე-18), ლ. კ. ლომაიას (ზუგდიდის რაიონის ნარაზენის), ლ. ვ. გელაშვილის (ქ. თბილისის მე-15), მ. ხახონაიძის (თელავის მე-3), ე. მ. თულაძის (ცხაკაიას მე-3), ვ. ვ. ავალიანის (ქ. ბათუმის მე-14), ც. ტ. საჯაიას (ჩხოროწყუს რაიონის ახუთის), ლ. გ. ღირსიაშვილის (გურჯაანის რაიონის კარდანახის), ვერცხლისა და ოქროს მედლებით დაჯილდოების შესახებ და მათ მიეცეს ჩვეულებრივი სახის საშუალო განათლების

ატესტატები. შესაბამისმა განათლების განყოფილებებმა ა/წლის 1-ელ აპრილამდე უზრუნველყონ მათი განსხვავებული ნიშნის საშ. განათლების ატესტატების დაბრუნება განათლების სამინისტროში და სამაგიეროდ ჩვეულებრივი სახის ატესტატების მიღება და გაცემა.

13. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) მკაცრი კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

14. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების" უახლოეს ნომერში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 25 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 31 იანვრის ბრძანება № 59

ასპინძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს, აღვნიშნავ, რომ ასპინძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებასა და სკოლებს ერთგვარი მუშაობა აქვთ ჩატარებული საყოველთაო სწავლების განხორციელების, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით. მაგრამ სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში კვლავ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ასპინძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. თამაზაშვილი):

ა) ეს ბრძანება და სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათი განიხილოს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; გარდაქმნას კონტროლი და ხელმძღვანელობა იმ ნიადაგზე, რათა სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობის ხარისხის შეფასება იყოს ყოველმხრივი, საფუძვლიანი და ხელს უწყობდეს პედაგოგიური კოლექტივების ერთობლივად დარაზმვას სასკოლო საქმიანობის ყოველ უბანზე და შრომითი დისციპლინის განმტკიცებასა და ამაღლებას; განსაკუთრებული ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღება მიაქციოს სკოლებისათვის მიცემული მითითებების აღსრულების შემოწმებას;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღოს მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და მეცნიერული მომზადებისა და პროფესიული ოსტატობის ასამაღლებლად; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო დისციპლინის დაცვას, სადირექტივო ორგანოების დადგენილებების, განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და დავალებების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას;

დ) მიაღწიოს იმას, რომ სკოლის ხელმძღვანელები საფუძვლიანად სწავლობდნენ სასწავლო პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, სადირექტივო ორგანოების მიერ მიღებულ დოკუმენტებს, სრულყოფილად აანალიზებდნენ და წვდებოდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყოველ მხარეს, შიდასასკოლო კონტროლი ატარებდეს გეგმიან, მიზანდასახულ და სისტემატურ ხასიათს და სრულყოფდეს საგნების სწავლებასა და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხს;

ე) მოსწავლე ახალგაზრდობის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებულობით, საბჭოთა კანონიერებისა და მართლწესრიგისადმი პატივისცემის გრძნობით, შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სელისკვეთებით აღზრდის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის დასახოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი; მშობელთა შორის ქმედითი პედაგოგიური პროპაგანდის მეშვეობით მიაღწიოს იმას, რომ მშობლები იყვნენ მომთხოვნი თავიანთი შვილებისადმი, პატარაობიდანვე უნერგავდნენ მათ სიბეჯითეს, გულმოდგინე შრომისა და სოციალისტური ცხოვრების საერთო წესებისადმი პატივცემის გრძნობას;

ვ) საჭირო ზომები მიიღოს სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების თვალსაჩინო მასალებით, ხელსაწყოიარაღებითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფისა და პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით; უზრუნველყოს სასკოლო მიწის ნაკვეთზე აგროქიმიური საცდელი მუშაობის ფართოდ გაშლა;

ზ) ამ ბრძანებაზე დართულ მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მიმართ გაატაროს საჭირო

ზომები, დააწესოს მათ მუშაობაზე მტკიცე კონტროლი, მაქსიმალურად ჩააბას ისინი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებებში და თუ ამის შემდეგაც ვერ შეძლებენ მუშაობის გარდაქმნას, სათანადო წესის დაცვით განიხილოს საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

2. საგნის სუსტი ცოდნისა და თავისი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ა. ხრიკაძეს (ასპინძის საშ. სკოლა), ვ. მაისურაძეს (ნაქალაქევის საშ. სკოლა): რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ო. მაღრაძეს (ოშორის საშ. სკოლა), მათემატიკის მასწავლებლებს რ. ველიჯანაშვილს (ტოლოშის საშ. სკოლა), ს. პლაჭიაშვილს (ხიზაბავრის საშ. სკოლა), ქიმიის მასმასწავლებლებს, ს. ყურაშვილს (ხიზაბავრის საშ. სკოლა), ა. ბუხრაშვილს (ტოლოშის საშ. სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებლებს ჟ. ხუციშვილს (ხიზაბავრის საშ. სკოლა), ე. გავაშელს (ნაქალაქევის საშუალო სკოლა), ნაქალაქევის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს შ. მაისურაძეს, ხიზაბავრის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს ს ადეიშვილს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის ხიზაბავრის საშუალო სკოლის დირექტორს გ. დათაშვილს, ტოლოშის საშუალო სკოლის დირექტორს პ. წინწკალაძეს, ნაქალაქევის საშუალო სკოლის დირექტორს ბ. ზაზაძეს— გამოეცხადოთ საყვედური.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს კპ ასპინძის რაიონული კომიტეტის მიერ ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. დიასამიძე საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის დარღვევისათვის განთავისუფლებულია დირექტორის თანამდებობიდან.

5. დავსძენ, რომ ასპინძის რაიონის სკოლებში არსებული ეს ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად არის გამოწვეული ადგილობრივი განათლების განყოფილების სუსტი მუშაობით. ვავალებ განყოფილების გამგეს ვ. თამაზაშვილს, მთელი სიღრმით შეაფასოს რაიონის სკოლებში შექმნილი მდგომარეობა და გადამწყვეტი ზომები მიიღოს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის;

6. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ ქმედითი დახმარება გაუწიოს ასპინძის განათლების განყოფილებას ამ ბრძანების შესრულების საქმეში და საჭიროების მიხედვით, სათანადო ღონისძიებანი წარმოუდგინოს კოლეგიას განსახილველად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 4 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დადგენილება—პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა პროფკავშირული, კომკავშირული და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის სრულიად საკავშირო დათვალიერების დევიზით „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება“ ჩამტარებელი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომისიის ანგარიშის დამტკიცების შესახებ 3
2. ბრძანება № 18—ბეთანიის საბავშვო სახლში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1972 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნებული სტატიის „სხვისი შვილების“ შესახებ 15
3. დებულება—რესპუბლიკური კონკურსისა—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“ 21
4. ბრძანება № 61—მე-2 რესპუბლიკური კონკურსის—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“—შედეგებისა და III რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ 29
5. ბრძანება № 25—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი მოვლისა და ექსპლოატაციისადმი კონტროლის ღონისძიების შესახებ 35
6. Приказ № 25—О мероприятиях по улучшению работы и усилению контроля за содержание и эксплуатацию автомобильного транспорта учреждений и организаций Министерства просвещения Грузинской ССР 38
7. დადგენილება—გეგეჭკორის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“ ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის განათლების განყოფილების მიერ გაწეული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 41
8. ბრძანება № 32—1972 წლის III კვარტალში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის შესახებ 44
9. Приказ № 46—О мероприятиях по капитальному ремонту, содержанию и эксплуатации школьных зданий 48

10. დადგენილება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა 1973—1974 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის 52
11. დადგენილება—საქართველოს სსრ განათლების სამინიატროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ 57
12. ბრძანება № 52—1972—1973 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ 64
13. ბრძანება № 59—ასპინძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 76

9.1-112

ეროვნული ბიბლიოთეკა

Центральный

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV-73წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5.

შეკვ. № 296 უე—05476 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Главполиграфпрома Государственного Комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19